რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 36 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით — 4 მან. 50 კ.
2 თვით — 9 მანეთი.
3 თვით — 13 მ. 50 კ.
6 თვით — 27 მანეთი
1 წლით — 50 მანეთი
ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,

შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ორთაჭალის რაიონის წითელ გვარდიელთა კომისია აუწყებს ყველა ამხანაგებს ამხ. წითელ გვარდიელის

მათე გიორგის ძე გორდელაძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება ორთაჭალის ბაღიდან 15 თებერვალს დილის 9 საათ., დაკრძალვა კი მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ვსთხოვთ ამხანაგებს თავისი დასწრებით პატივი სცენ მიცვალებულის ხსოვნას.

მწუხარებით გულმოკლული მეუღლე მარია გორდაძისა, შვილები: ნინა, მიშა, ჟორჟიკა, ანტუშა და რეზიკო და ძმა იასონ გორდაძენი, ცოლის დები: ლიზა ჩხენკელი და ვერიჩკა ლეკვენიძისა და ქვისლი ნესტორ ლეკვენიძე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი

მათე გრიგოლის ძე გორდაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 თებერვალს საღამოს 5 საათზე მიცვალებულის ბინაზე. გამოთხოვების დღეთ დანიშნულია 15 თებერვალი. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან დილის 10 ს. წაასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე. დაკრძალვა კი მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ვსთხოვთ ნათესავთ და მეგობრებს თავისი დასწრებით პატივი სცენ მიცვალებულის ხსოვნის. (1—1)

თფილისის მებაღეთა კავშირის ბიურო აუწყებს ამხამაგ წევრებს

მათე გორდაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 თებერვალს საღამოს 5 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ორთაჭალა). დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 15 თებერვალს დილის ათ საათზე. ორთაჭალიდან მიცვალებულს ბინიდან წაასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ქ. თფილისის მეთერთმეტე კომისარიატის მილიციონერები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი, მოწინავე ამხანაგის

იოსებ ზურაბის ძის გერსამიას

ტრაღიკულათ მოკვლას, რომელიც მოხდა 10 თებერვალს. მიცვალებულს დღეს 14 თებერვალს ნაშვადღევის 2 საათზე გამოასვენებენ მიხეილის საავათმყოფოდან და წაასვენებენ იმერეთში, სოფ. ოფშკვითში, სადაც დასაფლავება მოხდება პარასკევს 15 თებერვალს. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი: დედა სუსანა, ძმები სალიმე, პარმენი, ნოე და ნიკოლოზი, დაი ქრისტინე, სიძე ვასილი კიკნაძე, რძლები: პარასკია, სონა, მინადორა და პოლინე; ბიძაშვილები: ნეშრევანი, ადამი, პავლე, კლიმენტი და ერმალო გერსამიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასესი

იოსებ ზურაბის ძის გერსამიას

უდროოდ ტრაგიკულად სიკვდილს, რომელიც მოხდა 10 თებერვალს. მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავათმყოფოდან დღეს 14 თებერვალს 2 საათზე სადგურში, საიდანაც წაასვენებენ სოფ. ოფშკვითში, (ქუთაისის მაზრა) სადაც დაკრძალვა მოხდება 15 თებერვალს.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ტასია, შვილები: ჩიტო, კარლო და ვალოდია, ძმები ალექსი, იაკინთე და სოლომონ, დები კესა და მართა, რძალი პატკუ (ნინა) ძმის წულები: ვენერა, კუკნა (ელეონორა), დამიანე, გერასიმე და გერვონტი გოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1918 წ. 15 თებერვალს დღითი ხუთშაბათს დილის 10 ს. მიქელ-გაბრიელის (გურია) მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

იაგორ გაბრიელის ძე გოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ. 2—1

დღეს, 14 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე,
მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დამფ. კრების წევრი (პეტ. ახლად დაბრუნებული)
ა. ზურაბოვი
წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:
ბოლშევიკური მთავრობა და დამფუძნებელი კრება
ბილეთების ფასი 3 მანეთიდან 50 კ.-დე.

რუსეთის განადგურება

ბალშევიკების ანარქო-უტოპიურმა ტაქტიკამ რუსეთის შინაური ცხოვრება გაანადგურა და იგი დაღუპვის კარებამდის მიიყვანა. ანარქია, ძმათა შორის სისხლის ღვრა და ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის არევ-დარევა მიზნათ დაისახეს და ამ მოვალეობას პირნათლათ ასრულებენ.

რაც მათ შინაური ბრძოლით რუსეთის ცხოვრებას დააკლეს, საგარეო პოლიტიკით—ზავის ჩამოგდებით მოუთავეს და მით რუსეთის მომავალი ეკონომიური ცხოვრება გერმანიის იმპერიალისტებს მსხვერპლათ შესწირეს. ლენინ-ტროცკის „მთავრობამ“ რუსეთი გაყიდა, ყოვლად სამარცხვინო და დამღუპველი ზავი შეკრა და რუსეთის მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებას ბორკილები დაადვა.

ჩვენ არ შეუდგებით სამარცხვინო ზავის პირობის მუხლობრივ გარჩევას, ვინაიდან მისი დამღუპველი მნიშვნელობა ყველასთვის აშკარაა. აქ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ერთ გარემოებისაკენ, რომელიც აშკარათ ახასიათებს რუსეთის მრეწველობა-მეურნეობის განვითარების განადგურებას და გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტების სრულ გამარჯვებას.

აქ სავალალო და სამწუხარო მარტო ის კი არ არის, რომ გერმანიის იმპერიალისტებმა მრავალი ტერიტორიები მიითვისეს და ამასთან ფარული სახით რუსეთის დემოკრატიას დიდძალი კონტრიბუცია დააკისრეს, არამედ ის, რომ დარჩენილი რუსეთიც მათ კოლონიათ გადააქციეს და მოწინააღმდეგე სახელმწიფოების იმპერიალისტებს უფლება ეძლევათ ყოველგვარი ნაწარმოები (რასაკვირველია ნედლი მასალა), კერძოთ მადნების უბაჟოთ გატანა. 1904 წლის რუსეთ-გერმანიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობა ძალაში რჩება და იკვრება ახალი ხელშეკრულობა 1925 წლამდის.

აი ის იმპერიალისტური პოლიტიკის გამარჯვება, რომლითაც გერმანია-ავსტრიის კაპიტალისტები შეიმოსენ და მთელი რუსეთი დაპყრობილ კოლონიათ გაიხადეს.

ცენტრალური სახელმწიფოების იმპერიალისტებმა თავიანთ ისტორიულ მიზანს მიაღწიეს; რუსეთი ეკონომიურათ დაიმორჩილეს და უკანასკნელის მრეწველობა-მეურნეობა სასიკვდილოთ დაკოდეს. ვინ არ იცის, რომ განვითარებულ გერმანიის მრეწველობას, მის ფინანსიურ კაპიტალს ნედლი მასალა და ლითონი ესაჭიროებოდა და ამ მხრივ მათ თავიანთ ინდუსტრია უზრუნველ ყვეს. მერე რუსეთიდან გადამუშავებულ ნედლ მასალას ფაბრიკულ ნაწარმოების სახით რუსეთსავე დაუბრუნებს. ამ წესით გერმანიის მრეწველობის აღორძინება და უფრო მეტათ განვითარება ისედაც განუვითარებელ რუსეთის მრეწველობას დიდ მეტოქეობას გაუწევს და მას დიდ ხნობამდის განვითარების დაბალ საფეხურზე შეაჩერებს. რუსეთში მრეწველობის განუვითარებლობა მეურნეობის დაქვეითებას გამოიწვევს და სახალხო ეკონომიის ორი დიდი დარგი გერმანიიდან სრულიათ დამოკიდებული გახდება. რუსეთის სამრეწველო და სამეურნეო დარგებში მომუშავენი გერმანიის იმპერიალისტების მონებათ გახდებიან და მათ ექსპლოატაციას საზღვარი აღარ ექნება. ასეთ პირობებში, ეჭვს გარეშეა, მუშათა კლასის პოლიტიკურათ განვითარება ხანგრძლივათ შეფერხდება და მას გაცილებით მძიმე ეკონომიურ პირობებში მოუხდება ცხოვრება, ვიდრე ეს ნიკოლოზ მეორის დროს იყო.

ამ სახით ლენინ-ტროცკის ავანტიურამ მთელი რუსეთი ხანგრძლივ ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობის უღელში შეაბა. ლენინ-ტროცკი რუსეთს უდიდეს მოღალატეებათ მოევლინენ. ასეთი დამღუპველი ზავის შეკვრა რუსეთის ხალხის გაყიდვა, მისი ინტერესების მოღალატეობაა. ამას არ დაივიწყებს რუსეთის დემოკრატია, მისი ნამდვილი გულშემატკივრები. ამის მერე ბალშევიკებს კიდევ შესწევთ გაბედულება რუსეთის ხალხის სახელით ილაპარაკონ და მათ ინტერესების დაცვაზე კრინტი დასძრან.

მაგრამ უპასუხისმგებლო ავანტიურისტებს დაუკარგავთ ყოველგვარი რიგიანობა და თავიანთ უტოპიაზე მაინც ხელს არ იღებენ. სახალხო კომისარების საქციელს და მათ ფრაქციას რუსეთის მომავალი თაობა, რომელსაც ზავის შედეგები მძიმე ტვირთათ დააწვება, წყევლა-კრულვით მოიხსენიებს და მათ ისტორია გამყიდველების სახელით დააჯილდოვებს. შორს აღარ არის ის ჟამი, როცა ბალშევიკები შეგნებულ პროლეტარიატის და გლეხკაცობის წინაშე წარსდგებიან და უკანასკნელნი მათ წინააღმდეგ საშინელ განაჩენს გამოიტანენ.

დემოკრატიის მოვალეობა

ქალაქ თფილისის სამხედრო საქმეთა საკრებულო უკვე შეუდგა ამიერ-კავკასიის სამობილიზაციო დეკრეტების სისრულეში მოყვანას. ხვალ დილის რვა საათზე, სასტუმრო „კავკაზი“-ს შენობასთან უნდა გამოცხადდენ პირველ და მეორე სამილიციო უბნის ის მცხოვრებნი, რომელთაც ცხრამეტი წელიწადი შესრულებული აქვთ ვიდრე ოცდახუთ წლიანებამდე; უკანასკნელი ვადა იმის მიხედვით, თუ ვინ ქალაქის რომელ ნაწილში ცხოვრობს, დანიშნულია 20 თებერვლისთვის.

თხუთმეტ თებერვლიდან ოც თებერვლამდე თფილისის დემოკრატია საქვეყნოთ დაამტკიცებს არის თუ არა ის ღირსი თავისუფალი ადამიანური ცხოვრების, ესმის თუ არა მას თავისი რევოლიუციონური მოვალეობა.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და დღესაც უნდა გავიმეოროთ, რომ ზავის შეკვრა და ომის შეწყვეტა დღიურ საჭირბოროტო საკითხს შეადგენს და თუ ასეა, რაღა საჭირო უნდა იყოს კიდევ თოფს ქვეშ დადგომა და ჯარის შეკრება. ასეთ კითხვას ალბათ ბევრი დაუსვამს თავის თავს.

რა დასამალავია, ჩვენ აუტანელ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული. ბალშევიკების მოუფიქრებელ და ბოროტ მოღვაწეობის მეოხებით რუსეთი არა თუ მოგვშორდა ჩვენ ფაქტიურათ, რუსეთი თავისი ძლიერი დემოკრატიით აღარ არსებობს—ის გერმანიის ბურჟუაზიის საწველ ფურათ გადაიქცა. და ამიტომ უნდა აღვიაროთ, რომ მომავალს ერთობ გულგატეხილი ვუცქერით.

მაგრამ, ჩვენ მოვალენი ვართ გადავარჩინოთ ის, რისიც გადარჩენა შეიძლება. ერთის მხრით ჩვენში თავი წამოყო შინაურმა ანარქიამ და არევ-დარევამ: ხოცვა-ჟლეტა, ყაჩაღების თარეში, მიმოსვლის საშუალებათა აოხრება და გაპარტახება—ასეთია ის საშიშროება, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ. ჩვენი წითელი გვარდია მამაცათ და თავგანწირულათ იბრძვის რევოლიუციის დასაცავათ, მაგრამ მარტო ქარხნის მუშებმა და გლეხობის ერთმა ნაწილმა ხომ არ უნდა ზიდონ მუდამ საერთო ტვირთი. მით უმეტეს, რომ წითელ გვარდიის წევრებს არ შეუძლიათ თავის ოჯახურ საქმეებს საბოლოვოთ მოსწყდენ და მუდამ თოფს ქვეშ დარჩენ—შეიარაღებული ძალა კი ყოველ დღე საჭიროა, რადგან ანარქიამ გამუდმებული ხასიათი მიიღო.

გარდა ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია გარეშე საფრთხეზე არ ვიფიქროთ. ვინც დღემდის კიდევ ფიქრობდა ცარიელი ხელებით და ლამაზი სიტყვებით ზავის ჩამოგდებას, ის ბალშევიკების მაგალითმა მაინც უნდა გამოაფხიზლოს. ბალშევიკები იყვენ ისინი, რომ ქვეყანას ყურები გამოუჭედეს—გერმანიას ჩვენი ლოზუნგების შეეშინა და ზავზე დაგვეთანხმებაო, ბალშევიკები იყვენ ისინი, რომელნიც დემაგოგიურათ „ობორონცებს“, ესე იგი თავის დაცვის პარტიას გვეძახდენ. დღეს მათი მეოხებით რუსეთი დაღუპვის კარამდეა მისული.

ნუ ვინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ გერმანიის ბურჟუაზიასთან უფრო დემოკრატიულ მეზობელთან გვქონდეს საქმე.

და თუ გვინდა, რომ ამ ჩვენმა მეზობელმა ფეხქვეშ არ გათელოს ჩვენი საარსებო ინტერესები, უნდა შევიარაღდეთ და მისი გაუმაძღარი მადა რამდენიმეთ მაინც ავლაგმოთ.

ძლიერი და უძლეველია აჯანყებული ხალხი და თუ მტერი გათავხედდება და გასრესას მოგვინდომებს, ჩვენი ხალხი როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგება.

მაგრამ საჭიროა და აუცილებელი ტეხნიკურათ გაწვრთნილი და მომზადებული ჯგუფი, ჩვენი მოსალოდნელ ბრძოლის ავანგარდი.

ასეთი ჯარის შექმნა გვჭირია ჩვენ დღეს და ამას ემსახურება ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკრეტები და ამ დეკრეტების აღმასრულებელი ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულო.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მრავალ თაობათა სისხლით მოპოებული თავისუფლება განსაცდელშია. გალაღებული გარეშე მტერი არ დაინდობს არა თუ ამ თავისულებას, ის ცეცხლსა და მახვილს მისცემს ჩვენს ქონებას და სარჩო საბადებელს. ამით გაახარებს ის ჩვენს მტრებს და დემოკრატიის საქმეს რამდენიმე ათეული წლით დამარხავს. მომავალი თაობა წყევა-კრულვას შემოგვითვლის იმ ღალატისთვის, რომლითაც ჩვენს თავსაც დავიღუპავთ და ჩვენს მომავალსაც მონობის უღელში გავაბამთ.

გამოვცხადდეთ ყველა დანიშნულ ალაგს ჩვენი რევოლიუციონური ვალის მოსახდელათ. დეე გაიგონ ჩვენმა მტრებმა, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია ჩვენი წელში გატეხა. ან ლაჩრული სიკვდილი ან ადამიანური ცხოვრება ასეთია მდგომარეობა!

რევოლიუცია განსაცდელშია! ისწრაფეთ შეადგინოთ რევოლიუციონური, სამშობლოს დამცველი ჯარი.

პრესა

ყველა ჯურის ნაციონალისტები პირველ ალაგას აყენებენ ეროვნულ ინტერესებს. ამით განსხვავდებიან ისინი სოციალ-დემოკრატებისაგან, რომელნიც პირველ რიგზე კლასიურ ბრძოლის პრინციპს აყენებენ.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სოციალიზმის სამოსელში გახვეულ ჩვენებურ ფედერალისტებს არ ესმით ან შეუძლიათ გაიგონ მარქსისტების მოღვაწეობის აზრი და მნიშვნელობა. „სახალხო საქმე“-ში სამ. ფირცხალავა სწერს:

> „ჩვენი ს.-დემოკრატები რომ სამოღვაწეოდ გამოვიდენ, კი არ შეებრძოლენ ეროვნულ შეგნების გაცივებას, პირიქით იმათ ისარგებლეს იმ ანაციონალურ პროპაგანდისთვის, იმ კოსმოპოლიტურ უსახეობისთვის, რომელსაც ვითომც მოითხოვდა მათი მოძღვრება. ასეთმა მუშაობამ, რასაკვირველია, კიდევ უფრო მოუჩლუნგა ხალხს, ინტელიგენციას ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა, დააუძლურა ცხოვრების და განვითარების ერთი უძლიერეს ფაქტორთაგანი. ამაზე აღმოცენდა ის, რომ მიუხედავათ მრავალი ღირსებისა, დიდი პოლიტიკური მუშაობისა, ბევრმხრივი დაწინაურებისა, ჩვენს ხალხს აკლია დღეს ის სიმტკიცე სულიერი ძლიერება, რომელიც შეუძლია გამოიჩინოს მხოლოდ მთლიან ერს, შეგნებულს თავის პიროვნების შემცნობს“...

გამოდის, რომ ჩვენი კოსმოპოლიტური პროპაგანდა-აგიტაცია, რომელმაც საშუალება მოგვცა ავანტიურისაგან დაგვეხსნა ჩვენი ქვეყანა, უსახეობა ყოფილა. ჩვენ, ცოდვილები, „სახალხო“-ს მცონარე ინტელიგენციის ქადაგებას ცოტა არ იყოს აღმაცერათ ვუყურებთ. ჩვენ გვწამს ეროვნული თავისუფლება და თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრით თუ რამე გაკეთდა, ისევ ჩვენი პარტიის შემწეობით.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ვითომ ჩვენ კლასიური დროშა უნდა მიგვეტოვებია და ნაციონალური აგვეფრიალებია. ამ შემთხვევაში ჩვენი მოძღვარი არჩ. ჯორჯაძე გახდებოდა და არა მარქსი.

⁂

იმავ „სახალხო საქმე“-ში თედო ღლონტი დომხალივით ურევს ერთმანეთში ყველა ჯგუფის ინტელიგენტებს. ის სწერს:

> „ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ ქართველი ინტელიგენცია ცხოვრებას ჩამორჩა და ვერ შესძლებს ხალხის სამსახურს. არა, ამ ბრალს ვერავინ დასდებს საქართველოს უანგარო და თავგანწირულ ინტელიგენციას; ქართველი ერი და მისი პირმშო შვილი ინტელიგენცია დიდ შრომას ეწეოდენ ყოველთვის და ეწევიან დღესაც, მაგრამ ტაქტიკა და მოქმედების მიზანი კი უნდა შეიცვალოს უეჭველად“.

რაკი ერთად მოუყარა თავი ბ. ღლონტმა ყველა ჯგუფის და კლასის ინტელიგენციას, ცხადია, ერთნაირი ქადაგებით უნდა მიემართა ყველასთვის. ღლონტიც უქადაგებს:

> „უბრალო ჯარისკაცებათ ჩავეწეროთ ჯარში, ყანაში გავიდეთ დასამუშავებლათ, შავი საადმინისტრაციო მოვალეობაც ვიკისროთ ხალხის დასაკმაყოფილებლათ“.

ჭეშმარიტად მომხიბლავი სურათი იქნება, როცა ქართულ კლუბიდან თედო ღლონტის მეთაურობით ყანებში სამუშაოთ გაემართება ჩვენი „უანგარო“ ინტელიგენცია!

⁂

ჩვენებურ ნაციონალ-დემოკრატებს ვერ გაუგიათ—რა კავშირია ანარქიასა და აგრარულ საკითხს შორის. „საქართველო“ ეხება ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლიუციას და გულის წყრომით სწერს:

> „მისაღებია განა უმაღლეს ეროვნულ დაწესებულებისათვის აგრარულ საკითხის გადაწყვეტის სამართლიანი აქტი დაუკავშიროს იმ ავაზაკობას სოფლად, რაც ამ ჟამათ საქართველოში ხდება“.

ჩვენ მუდამ ვებრძოდით და ვებრძვით ყაჩაღობას. ამიტომ არის, რომ იქ სადაც ჩვენი ორგანიზაცია ძლიერია, იქ ანარქიაც შედარებით სუსტია. ამიტომ იყო, რომ მთელი თერთმეტი თვის განმავლობაში გორის მაზრაში თავადების თვის ხელი არავის უხლია. დღეს ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და ეს საუკეთესო ნიადაგია ყაჩაღების სათარეშოთ. „საქართველო“-ს ბრძენ პოლიტიკოსებს მოვუყვანთ ერთს მაგალითს: რატომ არის, რომ ცხენის ქურდს ხელად აღმოაჩენს სოფელი და ზოგჯერ სიცოცხლეს ასალმებს, ხოლო მემამულეების მკვლელები დაუსჯელნი რჩებიან? იმიტომ, რომ ხალხს მემამულე ეჯავრება.

ვიმეორებთ, დასაგმობია ყოველგვარი მკვლელობა, მაგრამ მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ სოციალურ რეფორმების შემწეობით.

ვინც ვიწრო ჯგუფურ ეგოიზმით დაბრმავებული არ არის, ამას კარგათ ხედავს და ანგარიშსაც უწევს.

უკრაინის ამბები

კიევიდან პირდაპირი მავთულით შემდეგი ცნობა მოვიდა: 16—26 იანვრამდის საბჭოთა ჯარები კიევს მძიმე არტილერიიდან ესროდენ. ბევრი ადგილი განადგურებულია. ცენტრალურ რადის ჯარები იძულებული შეიქნენ ჟიტომირისაკენ დაიხიათ. ცენტრალურ რადის ჯარების ნაწილი ბალშევიკების მხარეზე გადავიდენ. კიევში არ იმყოფება არც ერთი წევრი ცენტრალურ რადისა. ხარკოვის რადა მოვიდა კიევში და მისი მეთაურობით უკრაინის სახალხო სეკრეტარიატი მოეწყო. ამ დღეებში მოწვეული იქნება სრულიად უკრაინის წარმომადგენელთა ყრილობა. წესრიგი თანდათან მყარდება. უკრაინის ახალი მთავრობა უკრაინელ ბალშევიკებისა და სოც.-რევოლიუციონერებისაგან შესდგება. ფინანსების სეკრეტარათ დანიშნულია აუსენი, სამხედრო—კოციუბინსკი, გზათა—ბაგინსკი, ფოსტა-ტელეგრაფის—მარტიანოვი და საშინაო საქმეთა სეკრეტარათ—ბოში, მთავრობის სათავეში ჯერ არავინ არ არის; ასეთ როლს მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭო ასრულებს. უკრაინის საერთო მდგომარეობა შემდეგ ნაირია: თითქმის ყველა ქალაქებში საბჭოთა მთავრობაა. ჟიტომირთან ისევ გრძელდება ბრძოლა, რომლის შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. თუ როგორ უყურებს სოფელი მომხდარ ამბებს, ამის შესახებ ცნობები არ არის შეკრებილი. უკრაინაში მხოლოდ ერთი საბჭოთა გაზეთი გამოდის, რომელიც ყოფილ „კიევლიანინის“ სტამბაში იბეჭდება. სხვა გაზეთები არ გამოდის. გრუშევსკი, ვინიჩენკო, პეტლიურა და კოვალევსკი კიევიდან გავიდენ. ჯერ საბოლოოთ არ არის გამორკვეული, შეურიგდება უკრაინის ხალხი ახლათ შექმნილ მდგომარეობას თუ არა. საბჭოთა გაზეთი უმთავრეს ნაწილათ რუსულ ენაზე იბეჭდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი უკრაინულ ენაზე. უკრაინის ფრონტზე ომი შეწყვეტილია სახალხო საბჭოთა განკარგულებით. კიშინიოვი და ბენდერი რუმინელების ხელშია, რომლებსაც განზრახვა აქვთ ოდესაზე გაილაშქრონ. არის ცნობები, რომ ავსტრო-უნგრეთის ჯარი ჟიტომირის მიმართულებით მოიწევს.

გერმანელების შემოტევა

როგორც ვიცით, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მოაწეროს ხელი გერმანიის მიერ წარმოდგენილ საზავო პირობებს და ამ მიზნით გაგზავნა კიდეც დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში. სანამ საზავო პირობებზე ხელი არ მოუწერიათ, გერმანელები განაგრძობენ შემოტევას. უკანასკნელ ცნობებით გერმანელებს აუღიათ მინსკი.

გერმანიის მთავარი ბანაკი შემდეგს აცნობებს თავის მთავრობას ბერლინში: „ეიხგორნის ჯარი შევიდა ესტლანდიაში. მცხოვრებნი დიდი სიხარულით შეხვდენ გერმანელებს. რამდენიმე ადგილას ჩვენ უკუვაქციეთ მოწინააღმდეგე, რომელიც შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას. უახლოვდებით რეველს. 9 თებერვალს ვალკის აღების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 კაცი და გავანთავისუფლეთ 600 ავსტრიელი და გერმანელი. ჩვენი პატარა რაზმები მივიდენ კუნძულებამდე და დაამარცხეს იქ მოწინააღმდეგე. საქსონიის ჯარებმა აიღეს ბალბიგოვო და წამოიყვანეს 1000 ტყვე. ჩვენ დავიკავეთ ბორისოვი. უკრაინის განმათავისუფლებელ ომში გენ. ლინზინგენი სასურველათ მოქმედობს. ჩვენმა ჯარმა აიღო ისკორასტი. სადგ. მეპეტოვკის ვოგზალზე ჩვენ დავაკავეთ მატარებელი, რომლითაც მოდიოდენ ველიკოროსების ჯარები. ჯარებს იარაღი ავყარეთ. გენერალ-კვარტირმეისტერი **ლიუდენდორფი**“.

კავკასიის ფრონტი

არზრუმიდან გენ. ოდიშელიძე იტყობინება: ოსმალეთის ჯარების უფროსმა ვეხიბ-ფაშამ განაცხადა, რომ ის წინ წამოიწევს მანამდის, სანამ არ შეხვდება რუსის ჯარს. სომეხთა ნაციონალურ პოლკებს იგი არ სთვლის რუსის ჯარათ. მისი სიტყვით, ეს იმიტომ არის საჭირო, რომ დაიცვას მუსულმანთა მცხოვრებნი რუსების მიერ ომის უფლებით დაპყრობილ ოლქებში. ამიტომ საჭიროა საჩქაროთ გაიგზავნოს არზრუმში რუსის ჯარის რამდენიმე ბათალიონი მაინც, რომელიც ავანგარდათ გაიგზავნება წინ. ამ საშუალებით შეიძლება შეჩერებულ იქნას ოსმალეთის ჯარების არზრუმში შემოსვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში თურქები უსათუოდ დაიკავებენ არზრუმს.

ახალი ამბები

დღეს, 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის კრება ქალაქის საბჭოში.

◆ **პური.** რადგანაც ამ ხანებში თფილისში პური თითქმის სავსებით არ შემოდის, არსებულ ხორბლის დაფქვასაც ვერ ასწრებს ქალაქის წისქვილები და რაც იფქვება, ისიც მიმავალ ეშელონების საჭიროებას უნდება,—ამიტომ საბჭოსთან არსებული სასურსათო განყოფილება იძულებული შეიქნა პურის რაციონი ნახევარ გირვანქიდან გირვანქის სამ მერვედამდის შეემცირებია. საჭიროა მოქალაქეებმა გულდამშვიდებით შეხვდენ ამ აუცილებლობას მით უმეტეს, რომ არის იმედი, ახლო მომავალში სასურსათო საქმე ისევ გაუმჯობესდება.

◆ **ბონები.** 12 თებერვლიდან შეწყვეტილ იქნა ხაზინიდან ბონების მიცემა. ეს იმით აიხსნება, რომ გამოცემული 100 მანეთ. ღირებული ბონების რიცხვი განსაზღვრული იყო, უფრო დაბალ ღირებულების ბონები კი ჯერ არ გამოსულა.

◆ **სამუშაო ქირის ახალი ნორმა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეების მესამე ყრილობაზე არჩეულ შემათანხმებელ კომისიის მიერ შემუშავებული სამუშაო ქირის ახალი ნორმები. მუშები გაყოფილია რამოდენიმე კატეგორიათ. ის მუშები, რომლებიც კატეგორიებში არ შედიან, ხელფასს მიიღებენ სამუშაო ქირის იმ ნორმის თანახმად, რომელიც შემუშავებულ იქნება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებისათვის. გარდა ამისა კომისარიატმა გადასწყვიტა გადაეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეების კავშირის განკარგულებაში აღნიშნულ გზების ყველა—საგანმანათლებლო დაწესებულებები.

◆ **მუშების გაფიცვა.** ამიერ-კავკასიის კომისარიატს ფოთიდან 12 თებერვლის თარიღით შემდეგს ატყობინებენ: ნავთსადგურის მუშებმა დღეს გაფიცვა გამოაცხადეს, გაფიცვის მიზეზი ის არის, რომ მუშებს არ მიუღიათ დეკემბრისა და იანვრის ჯამაგირები; არ მიუღიათ აგრეთვე სექტემბრის დამატებები.

◆ **მატარებლებზე თავდასხმა.** 12 თებერვალს, კარაკლისიდან 71 ვერსის მანძილზე სადახლო-აირუმის მიმართულებით ბოროტგამზრახველები თავს დაესხენ და სროლა აუტეხეს მატარებელს № 635. ეს მე-103 თავდასხმაა ერთ და იმავე ადგილზე. საჭიროა სამხედრო დამცველი რაზმი. საჭიროა დაიხუროს სადგ. მინიხი აირუმ-ახტალას გზაზე.

◆ **სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის ლიკვიდაცია.** კავკასიის ჯარების საბჭომ სარიკამიშიდან ცნობა მიიღო, რომ იქ არსებულმა ბალშევიკურ სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტმა ლიკვიდაცია უქნა თავის საქმეებს და სარიკამიშიდან გავიდა. ქალაქის გამგებლობა ხელში აიღო წინათ არსებულმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 5 ნახ. საათზე, „მუშტაიდის“ დემოკრატიულ კლუბში პეტროგრადიდან დაბრუნებული დამფუძნებელ კრების წევრი ამხ. არზურაბოვი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას: „ბალშევიკური მთავრობა და დამფუძნებელი კრება“. ბილეთების ფასი 50 კ.-დან 3 მანეთამდე.

◆ **მუშაობის განახლება.** ახალ სენაკიდან ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ: შავი ზღვის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს აცნობეს, რომ უკვე მოვიდა აღნიშნულ გზის საჭიროებისათვის გადადებული ფული, ამიტომ მუშებმა ისევ განაახლეს მუშაობა.

◆ **ელექტრონის ძალის გარშემო.** ელექტრონის ძალის ნაკლებობის გამო ელექტრონის კერძო სადგურებზე მუშაობა შეწყვეტილ უნდა იქნეს დილის 6—10 საათამდე. გარდა ამისა განზრახულია, თუ მოსახერხებელი იქნება, კერძო სადგურებზე მუშაობა დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე სრულიათ შეწყვეტილი იქნეს. ელექტრონის ხარჯვა თეატრებში, კინემატოგრაფებში, სასტუმროებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში შემცირებულ უნდა იქნას.

◆ **სანიტარული კომისია.** თფილისის ქალაქის გამგეობამ გამოყო განსაკუთრებული სანიტარული კომისია 6 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ქალაქის სხვადასხვა ნაწილები და შესაფერი ზომები მიიღოს სანიტარულ პირობების გასაუმჯობესებლათ.

◆ **მოწაფეთა შორის.** თფილისში არსებულ მოწაფეთა ცენტრალურ კომიტეტმა დელეგაცია გაუგზავნა განათლების კომისარს ხან-ხოისკის მოწაფეთა ჯარში გაწვევის საკითხის გამოსარკვევათ, დელეგაციამ შემდეგი გამოარკვია: უკანასკნელ კლასების მოწაფეები დათხოვილ იქნებიან კურსის გათავების მოწმობის მიცემით. ყველა იმ მოწაფეებს, რომლებსაც მობილიზაცია ეხება, შეუძლიათ მოწმობები მიიღონ და ჯარში ჩაეწერონ. უკანასკნელ კლასების გარდა ყველა კლასებში მეცადინეობა ჩვეულებრივათ იწარმოებს.

◆ **თფილისში ჩამოსულ აფიცერთა და მოხელეთა საყურადღებოთ.** თფილისის თავდაცვის შტაბი აცხადებს იმ აფიცერთა და მოხელეთა საყურადღებოთ, რომლებიც დღეს თფილისში იმყოფებიან და ჯამაგირებს შტაბიდან ღებულობენ, დაუყოვნებლივ შეიტანონ შტაბში მოხსენებები. მოხსენებაში აღნიშნულ უნდა იქნა მიზეზები, თუ რისთვის დარჩენილა ესა თუ ის პირი დღემდის თფილისში და ამის დასამტკიცებელი შესაფერი დოკუმენტებიც უნდა წარუდგინონ. თუ აღნიშნული პირები არ შეასრულებენ ამ მოთხოვნილებას, 1-ლ მარტიდან მათ ჯამაგირები არ მიეცემათ. ის აფიცრები და ჩინოვნიკები, რომლებიც ეხლა ლაზარეთებში იმყოფებიან, გარდა ნაჩვენებისა, ვალდებულნი არიან წარადგინონ უფროსი ექიმის მოწმობა, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს მიზეზები, რის მიხედვითაც ისინი მიიღეს ლაზარეთში; ფრონტიდან წამოსულებმა ჯამაგირი უნდა მიიღონ თფილისის სამხედრო უფროსისაგან, სადაც წარადგენენ საევაკუაციო პუნქტის უფროსის მოწმობას. იმათ, ვინც თფილისში გაივლის არავითარი დახმარება არ მიეცემა, თუ გინდ მათ შესაფერი დოკუმენტებიც ჰქონდეთ. იმ პირებს, რომლებსაც სამსახურის დროს წინათაც არ მიუღიათ ჯამაგირები, მიეცემათ მხოლოდ მიმდინარე თვის ფული. თუ რაიმე მიზეზების გამო აფიცრებმა და ჩინოვნიკებმა ვერ მიიღეს ნაწილებში მოწმობები, მაშინ მათ შეუძლიათ თავიანთი ჩვენების დასამტკიცებლათ იყოლიონ თავისი ნაწილის ორი აფიცერი ან ჩინოვნიკი.

◆ **შეიარაღებული თავდასხმა სკოლაზე.** 6 თებერვალს, ღამით შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ საქველმოქმედო საზოგადოების ყოროლისთავის სკოლას. ყაჩაღები მისცვივდენ სკოლის გამგეს სტეფანე ნიკოლაიშვილს და წაართვეს 240 მან. და თეთრეული. თეთრეული და სხვადასხვა ოქროს ნივთები წაართვეს აგრეთვე მასწავლებლებს თ. გელაშვილს და ნ. ხუნდაძეს. მძარცველებმა გააფრთხილეს მასწავლებლები მომხდარი ამბავი არ გაემჟღავნებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით დაემუქრენ. ასეთ ძარცვა-გლეჯამ ადგილობრივათ ამ ბოლო ხანებში ფართო ხასიათი მიიღო.

◆ **დაკარგული ბავშვი.** ი. ჩიჩუას ქვრივი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: 26 დეკემბერს დაიკარგა ნიგოითში ფერშალ იმნაიშვილთან მიბარებული ჩემი შვილი, 13 წლის ვაჟი—შალვა სოფრომისძე ჩიჩუა, ოზურგეთის მაზრის სოფ. აკეთის მცხოვრები. ბავშვის ნიშნები: ქერა, ტანზე მოთეთრო ხალათი აცვია, თავზე ცის ფერი ყაბალახი. მპოვნელს სთხოვენ აცნობონ აკეთის კომისარს გაზეთის საშვალებით.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე მოხდება ეროვნულ საბჭოს ჯანმრთელობის სექციის კრება (ფრეილინის ქ., № 11).

რუსეთის ამბები

ქარხნების დახურვა. შრომის სახალხო კომისარის შლიაპნიკოვის განკარგულებით პეტროგრადის სხვადასხვა ქარხნებიდან უნდა დაითხოვონ 30 ათასი მუშა. ქარხანა „ფენიქსი“-დან—1700 მუშა; ლითონის ქარხნიდან—8000; ნობელის—1700; ლესნერის—1000: საარტილერიო საწყობიდან—500; ბარანოვსკის—1000; აივაზიდან—5000; ელექტრო-მექანიკიდან—300: არმატერის ქარხნიდან—1200; ახალ-ბარანოვსკიდან—400; ახალ პარვიაინედან—5000; ლებედევიდან—700; პუზირევიდან—170; შჩეტინინიდან 500 და სხ.

სახადი პეტროგრადში. შიმშილობის ნიადაგზე პეტროგრადში თავი იჩინა სხვადასხვა გადამდებ სენმა, უფრო მეტათ გავრცელდა სახადი. ავათმყოფობა თანდათან ფეხს იკიდებს მუშათა უბნებში ॰ დღემდე არა ერთი და ორი იმსხვერპლა ამ ულმობელმა სენმა. ავათმყოფობის გამომწვევი მიზეზია უჭმელობა. პეტროგრადში აღარც პურია და აღარც სხვა სანოვაგე, ყველაზე მეტათ ამას გრძნობს ღარიბი ხალხი და ავათმყოფობაც იქ იბუდებს. თუ სურსათის საქმე არ მოწესრიგდა ავათმყოფობა მთელ პეტროგრადს მოედება და აუარებელი ხალხი დაიხოცება.

პოლონელთა ლეგიონი საბჭოების წინააღმდეგ. ბალშევიკების ოფიციალურ გაზეთ „სალდატსკაია პრავდა“-ში დაბეჭდილია შემდეგი:

13 იანვარს პოლონეთის ლეგიონმა, რიცხვით 25 ათასმა კაცმა გენერლების და შტაბის მეთაურობით ხელში ჩაიგდო ქალაქი როგაჩევი, გარეკეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, დაიჭირეს გლეხთა დეპუტატების საბჭო და კომისარი. ხელში ჩაიგდეს ყველა დაწესებულებები, ხაზინა და იქ შენახული ერთი მილიონი და ექვსასი ათასი მანათი; პოლონეთის შტაბმა როგაჩოვში მოგილევის გუბერნიის ანექსია გამოაცხადა.

მოწოდება

ამიერ-კავკასიის ერებო! ჯარისკაცებო, გლეხებო და მუშებო!

პოლიტიკურ ჰორიზონტზე გამოჩნდა ეროვნულ სისხლის ღვრის შავი ღრუბლები, რომელიც ლამობს ჩვენ მხარესაც წამოეფაროს და საშინელ ცეცხლში გაახვიოს მთელი ქვეყანა. ამიერ-კავკასიის ერთა რევოლიუციონურ მთლიანობას დიდი საფრთხე მოელის.

ასეთ საბედისწერო წუთში ამიერ-კავკასიის კომისარიატი მიმართავს ამიერ-კავკასიაში დასახლებულ ყველა ერთა რევოლიუციონურ შეგნებას და კეთილგონიერების გრძნობას და მოუწოდებს მათ დაიცვან მშვიდობიანობა და ძმური სოლიდარობა.

ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში და, უმეტესათ, რკინის გზის ლიანდაგის ახლო მოხდა სამწუხარო ამბები, კერძო ჯგუფები ერთმანეთს შეეტაკენ ან აგრეთვე ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს.

მოქალაქენო! რუსეთის დიდებული რევოლიუცია გვავალებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუციით მოპოვებული უფლება-თავისუფლებანი, ვისაც სურს მისი გამარჯვება დაინახოს, უნდა ეცადოს ძირიანად მოსპოს ეს ანარქია, რომელიც სისხლში ჩახრჩობას უქადის ჩვენ ქვეყანას.

თერთმეტი თვეა ამიერ-კავკასიის ყველა ერთა დემოკრატია ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდა რევოლიუციის ეკლიან გზაზე და თავზარს სცემდა რევოლიუციის და თავისუფლების მტრებს.

ამიერ-კავკასიის ერები უძლეველი იყვენ რევოლიუციონურ ბრძოლაში, რადგან ამ ბრძოლას საფუძვლათ ედვა მათი სოლიდარობა.

დეე, ამიერ-კავკასიის ყველა ერებმა იცოდენ, რომ რევოლიუციის მტრები ცდილობენ გააჩაღონ ნაციონალური ბრძოლა და მით რევოლიუცია დაასამარონ.

ჩვენ წინ დიდი საფრთხე დგას.

ამიერ-კავკასიის ერნო! შორს გაიხედეთ, არ აჰყვეთ პროვოკაციას.

გახსოვდეთ, რომ მშრომელ დემოკრატიის ამიერ-კავკასიის არც ერთ ერს არავითარი საბუთი არა აქვს უნდობლათ უყუროს მეორე ერის დემოკრატიას და მის წინააღმდეგ გაილაშქროს.

არ დაუჯეროთ იმათ, რომელნიც მოდიან თქვენთან და მეორე ერის დემოკრატიისადმი შურს და ღვარძლს სთესავენ თქვენში.

გახსოვდეთ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა და დემოკრატიის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები ისე შეერთებული არიან ერთმანეთთან, როგორც ეს იყო რუსეთის დიდებულ რევოლიუციის პირველ ბრწყინვალე დღეებში.

მოიშორეთ თავიდან ერთი მეორისადმი ყოველივე ეჭვი და უნდობლობა და გახსოვდეთ, რომ ყოველივე საზოგადო ხასიათის საქმეები ყველა ერთა დემოკრატიის შეთანხმებით კეთდება.

რევოლიუციის გამარჯვება თქვენ სოლიდარობაზეა დამოკიდებული.

ამიერ-კავკასიის ძმურო ერებო! იმოქმედეთ შეერთებულათ და შეთანხმებით, ხელი-ხელს ჩაჰკიდეთ ერთმანეთს და ისე გასწით წინ. მხოლოდ ამ გზით იხილავთ რევოლიუციის გამარჯვებას და თქვენი იმედების განხორციელებას.

იცოდეთ, რომ თქვენი ხსნა ერთობაშია, განცალკევება ყველა თქვენ დაგღუპავთ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს რუსეთის დიდებულ რევოლიუციას!

ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

რეზოლუცია

ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ მიღებული რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებთა მე—VIII საოლქო ყრილობაზე.

„განვიხილეთ რა მოხსენება ამიერ-კავკასიის სეიმის და მისი მიზანის შესახებ რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო საგანგებო ყრილობა საჭიროთ სცნობს:

1) რომ დამფუძნებელ კრების გარეკით გასწყვიტეს ის ერთათ-ერთი ძაფი, რომელიც აერთებდა ერთ მთლიან დემოკრატიულ რევოლიუციონურ ფრონტს.

2) რომ ანარქიის, სამოქალაქო ომის შემდეგი გაძლიერება თვით დემოკრატიაში რევოლიუციას დაღუპვას უქადის და რევოლიუციონურ რუსეთს საბოლოოთ დაყოფვას.

3) რომ ასეთ მდგომარეობის დროს ბალშევიკების მიერ ოქტომბრის გადატრიალების გამო თავის ანაბარა მიტოვებულ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიის ვალია მიიღოს გადაჭრილი ზომები სრულიად რუსეთის რევოლიუციონურ ფრონტის გასამთელებლათ.

ამიტომ რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო ყრილობა უპირველეს ყოვლისა საჭიროთ სცნობს შექმნას ამიერ-კავკასიის სეიმი სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. ეს ორგანო იქნება სრულუფლებიანი. სოციალისტურ და რევოლიუციონურ პლათფორმაზე ის შექმნის ერთ გვარ დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც პასუხის მგებელი იქნება სეიმის წინაშე. სწყვეტს ზავის საკითხს, რომ ზავი დაუყოვნებლივ შეკრულ იქნას; აგრეთვე ტერიტორიალურ გადამიჯვნის, აგრარულ და ნაციონალურ საკითხების პარტიულ ყრილობის გადაწყვეტილების თანახმათ, ფინანსების, სურსათის და სხვა საკითხები.

რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა საოლქო ყრილობა აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის პარტია მთელი ძალ-ღონით მხარს დაუჭერს ამიერ-კავკასიის სეიმის და მის მიერ შექმნილ მთავრობის ყოველ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართული იქნება შოვინისტების და რეაქციონერების წინააღმდეგ ბრძოლისკენ, რომ საბოლოოთ განამტკიცოს რევოლიუცია.

მუშები ბალშევიკების წინააღმდეგ

მოგვყავს რამდენიმე ფაქტი პეტროგრადის გაზ. „ნოვი ლუჩი“-დან იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ შორდება მუშათა მასსა ბალშევიკებს.

10 იანვარს მოხდა „ძველი ლესნერის“ ქარხნის მუშათა მრავალ რიცხოვანი კრება, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ძველი ლესნერის“ ქარხნის მუშათა საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. სემიონოვის მოხსენება 5 იანვარს მუშათა მანიფესტაციის დახვრეტის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭოს მოქმედება აღიარა დანაშაულათ და დაადგინა, დაუყონებლივ დაინიშნოს თავის წარმომადგენლების ხელ-ახალი არჩევნები როგორც პეტროგრადის ქალაქის, ისე ვიბორგის რაიონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში“.

ასეთივე რეზოლუცია მიიღეს პეტროგრადის პატრონების ქარხნის მუშებმა, რიცხვით 2 ათას კაცმა.

ნევის გემთა სააღმშენებლო ქარხნის მუშათა კრებაზე, რომელსაც დაესწრო 4 ათასი კაცი, ბალშევიკების დანახვაზე

შთაბეჭდილებანი

7.

სასურსათო ყრილობა. ბალშევიკები ჩრდილოეთ-კავკასიაში.

ჩვენში ყველა წუწუნებს—პური არა გვაქვსო. ყველა ცდილობს დამნაშავე იპოვნოს, ვინმეზე თავის ჯავრი და ბოღმა ამოიყაროს. მაგრამ საეჭვოა, რომ ბევრმა იცოდეს, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც დავალებული აქვთ პურის შოვნა და მოტანა.

როცა რუსეთში პურის ნაკლებობა შესამჩნევი შეიქნა — რევოლიუციონურმა მთავრობამ პურის მონოპოლია შემოიღო, ესე იგი პური სახელმწიფო საკუთრებათ გამოაცხადა და თვითონ შეუდგა პურის ყიდვას და განაწილებას. ამ მიზნით შექმნილ იქნა სპეციალური ორგანიზაციები, არჩეული დემოკრატიული და რევოლიუციონური ორგანოების მიერ.

ამიერ-კავკასიის და კავკასიის ფრონტისათვის ამ მიზნით შექმნეს სრულიად კავკასიის სასურსათო გამგეობა. ამ გამგეობას ექვემდებარებოდა ჩრდილოეთ კავკასია, სადაც პური ბევრი მოდის, და ამიერ-კავკასია ფრონტიანათ. მას უნდა იქ ეყიდა პური, ქერი და სხვა სანოვაგე, მოეწოდებია იგი ჯარისთვის, მცხოვრებლებისთვის და სხვ.

ამ გამგ. კანტროლის გამწევი და კანონმდებელი დაწესებულება იყო კავკასიის კომიტეტი, ანუ ყრილობა, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები ყველა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების და რევოლიუციონური, მუშათა, სალდათთა და გლეხთა ცენტრების.

აი ასეთი ყრილობა გაიმართა ამ ქამათაც ეკატერინოდარში. ამ ყრილობას უნდა გადაეწყვიტა საკითხი, თუ როგორ და რა გზით შეიძლება შემდეგში პურის შოვნა, დამზადება და მიწოდება დამშეულ ადგილებისთვის.

საქმე მეტათ გართულებული იყო. სანამ რუსეთი ერთ მთელს წარმოადგენდა და მონოპოლიას სიმაგრე ქონდა, სასურსათო ორგანიზაციები, ნება-ყოფლობით ან რეკვიზიციის შემწეობით შოულობდენ პურს გადაჭრილ ფასებში, მარა ანარქიამ და სხვადასხვა რესპუბლიკების გაჩენამ აქაც არევ-დარევა შეიტანა. ამ ახალ რესპუბლიკებს ბევრი არ ემორჩილება. მონოპოლიის ცხოვრებაში გამტარებელი ძალა მოიშალა. გამგეობას პურის ყიდვა და გამოგზავნა გაუძნელდა. რკინის გზაც ბევრგან მეამბოხეებმა გააფუჭეს, მიმოსვლა შესწყვიტეს, გზაზე მდგომი დატვირთული ვაგონები დაიტაცეს და მიისაკუთრეს.

რა უნდა ექნა ყრილობას ასეთ პირობებში? ყველა დელეგატი ამ გზის ძებნაში იყო.

გამგეობის წევრები უმთავრესათ იმ აზრის იყვენ, რომ მონოპოლიის შესარჩენათ და კავკასიის ფარგლებში უპრავისთვის სამოქმედო ასპარეზის გასაწმენდათ, საჭიროა ყველა პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება, შეკავშირება, რომელნიც ამ ტერიტორიის საზღვრებში აღმოცენდენ.

ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობებიც ამ აზრის იყვენ. ისინი პირდაპირ აყენებდენ საკითხს ამიერ-კავკასიის მათ კავშირში შესვლის შესახებ.

ამით პურის საკითხს პოლიტიკური საკითხის ხასიათი ეძლეოდა. ამიერ-კავკასია, რომელიც განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება და პოლიტიკურათ ასეთ კავშირის დაჭერა არ შეეძლო, მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდენ ჩვენი დელეგატებიც.

გარეშე პოლიტიკური მთლიანობისა შეუძლებელია ეკონომიური საერთო ორგანიზაციის დაარსება. ასეთი იყო დილემა და რადგან ჩვენ პოლიტიკური დამოუკიდებლობა პურზე არ გავცვალეთ, თვით ყრილობას თავიდანვე სალიკვიდაციო ხასიათი მიეცა.

გამგეობა უარს აცხადებდა თავის მუშაობის გაგრძელებაზე, მარა გამოირკვა აქ ერთი საყურადღებო ფაქტი.

აქამდე, ე. ი. ამ ყრილობამდე ყველა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები ემორჩილებოდენ კავკასიის საერთო გამგეობას, მის განკარგულებას ასრულებდენ. ჩრდილოეთ კავკასიაში კი აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი სასურსათო კომიტეტები უკვე ადგილობრივ მთავრობის განკარგულებაში გადასულიყვენ, მათ დირექტივებს ემორჩილებოდენ და არა სასურსათო გამგეობას.

უნდა ავღნიშნო, ამ გარემოებისთვის ხაზის გასმა ჩვენ ამიერ-კავკასიის დელეგატებს გვიხდებოდა. ზოგი დელეგატთაგანი, რომელიც პოლიტიკურ შეკავშირების იდეას უჭერდა მხარს, ამ გარემოებას თითქმის უყურადღებოთ სტოვებდა.

მარა მთლიანობა ამ ორი კუთხის, ჩრდილოეთ კავკასიის და ჩვენი მხარის ფაქტიურათ უკვე დარღვეული იყო, და მისი აღდგენა ახლო მომავალში შეუძლებელი. აქედან დაიბადა აუცილებლობა ახალ გზების გამონახვის. საერთო გამგეობის შექმნა შეუძლებლათ იქნა აღიარებული. ყრილობამ აირჩია სალიკვიდაციო კომისია, რომელმაც უნდა გამგეობის მთელი ქონება ჩაიბაროს, რომელიც რამდენიმე მილიონის ღირებულებისაა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ის ქონება გამგეობის, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფება, უკვე იქაურ მთავრობებს მიუთვისებია და თავის სურვილისამებრ განაგებს. ყრილობის დიდი ნაწილი ამას მაინდამაინც ყურადღებას არ აქცევდა. მარა როცა კითხვა დადგა იმ ქონების ბედ-იღბალზე, რომელიც ამიერ-კავკასიაში და ფრონტზე იმყოფება, აქ დიდი კამათი ასტყდა. ეს ქონება მთელი რუსეთის შეძენილია, ამიტომ რუსეთს ამაში წილი უდევს და უეჭველათ მისი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიას უნდა გადაეცეს, აქაურ მთავრობის განკარგულებაში გადავიდესო. მე ასეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ ეს ხალხი სახელმწიფოს წარმომადგენლათ თვლიდენ ყაზახთა რესპუბლიკების მთავრობას და არ თვლიდენ ჩვენს კომისარიატს. იგინი ასეთ ცალმხრივობას სხვაშიდაც იჩენდენ. ყუბანის ნაპირებზე თითქმის ყოველ დღე, ყოველ კრებაზე გაიგონებდით კომისარიატის გაცხარებულ კრიტიკას. მის მტაცებლურ პოლიტიკას გმობდენ, მან მთელი ქონება, რაც იქ სახელმწიფოს დარჩა მიითვისაო. კაცი იფიქრებდა, თითქო კომისარიატს ეს ქონება თავის კერძო საკუთრებათ გამოეცხადებიოს და მისი პირად სარგებლობისთვის დახარჯვა განეზრახოს.

თქვენს მონა მორჩილს არა ერთხელ მოუხდა იმ უბრალო ჭეშმარიტების მოხსენება, რომ კომისარიატი ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელია, მაშასადამე სახელმწიფოებრივი ორგანოა, რომლის განკარგულებაში უნდა იყოს მთელი სახელმწიფო ქონება ადგილობრივ დარჩენილი. იგი მოუვლის მას და უპატრონებს, როგორც სახელმწიფო ქონებას-თქო. კავკასიის გამგეობის წევრებს ასეთ ორგანოთ თავის თავი მიაჩნდათ. ჩვენ ვართ სახელმწიფოს ორგანიზაცია, ვაერთებთ მთელ კავკასიას, კავშირი გვაქვს რუსეთთან და ამიტომ ქონება ჩვენ უნდა ჩავიბაროთ, ჩვენ უნდა შევუნახოთ იგი მომავალ რუსეთის რესპუბლიკას, ანდა გავანაწილოთ არსებულ მთავრობების შორისო. როცა საკითხი ამიერ-კავკასიაში დარჩენილ ქონების ლიკვიდაციას ეხებოდა, და მე შევიტანე წინადადება, რომ მთელი ეს ქონება კომისარიატის მხედველობის ქვეშ უნდა გადავიდეს მეთქი, მომხსენებელმა გაცხარებით წამოიძახა: ჯერ წინდაწინ იმ 90 ათას ფუთ ტყავს გადმოვიტანთ ჩრდილოეთ კავკასიაში და შემდეგ დაეპატრონოს კომისარიატი, რაც დარჩებაო.

ასეთი სულიერი განწყობილების მიუხედავათ, ყრილობამ ბოლოს და ბოლოს მაინც ისეთი რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც ლიკვიდაციის მთავარი ხელმძღვანელობა ყველგან ადგილობრივ მთავრობას ევალება.

ყრილობის სხვა კითხვებზე მე აქ არ შევჩერდები. ავღნიშნავ მხოლოდ დავას პურის მონოპოლიის შესახებ. ადგილობრივ კომიტეტების ნაწილს ძალიან სურდათ მონოპოლიის გაუქმება. ამის მოტრფიალეა ადგილობრივი მცხოვრებლებიც. მაშინ ისინი მეტ ფასებში გაყიდიან თავიანთ ნაწარმოებს.

ზოგან ეს საბუთი ბალშევიზმის საფუძვლათაც კი ხდება. გლეხები ბალშევიზმს ემხრობიან და დაუყონებლივ თავისუფალ ფასებს აწესებენ. ესე იგი 6 მანეთის მაგიერ ფუთ ფქვილს 18—20 მანეთათ ყიდიან. ბალშევიზმი სპეკულიაციის იარაღათ ხდება. ყრილობამ ასეთი თვალსაზრისი არ გაიზიარა და მონოპოლია დასტოვა.

თავიდანვე ყრილობას ემჩნეოდა, რომ მისგან მთლიანი სამუშაო აპარატი არ შეიქმნებოდა, რომ ეს აპარატი ინგრევა და თვითეული კუთხე თავის ძალის და უნარის ანაბარათ რჩება. აქედან ყველა კუთხის დელეგატებმა შესაფერი დასკვნა გამოიყვანეს და შეუდგენ თავის საქმეების კერძოთ გამოწყობას.

ჩვენი დელეგაციაც შეეცადა ასეთ ზომების მიღებას. მაგრამ აი რა დაბრკოლებები გადაეღობა წინ. ჩრდილოეთ კავკასიაში დამზადებული იყო პური და ქერი მილიონ ფუთამდე. 400 ვაგონი ქერი ნოვოროსიისკში იმყოფება. თითქმის ამდენივე ქერჩში და სხვ. 200 ვაგონი ფქვილი იყო და სადგ. გულკევიჩზე იმყოფებოდა. ჩვენ პირველათ ყოვლისა ამ ორასი ვაგონი ფქვილის გამოგზანას დავეშურეთ. მაგრამ ეს სადგური ბალშევიკების ხელში აღმოჩნდა. მათ კი ეს ნაყიდი პური თავის საკუთრებათ გამოაცხადეს და ასე გვიპასუხეს: ამ პურის ნაწილს ჩვენ იქ გავაგზავნით, სადაც გვინდა. 5 ან მეტ ვაგონს მოგყიდით ნაღდ ფულზე, და იმასაც იმ პირობით, რომ ჩვენი დელეგატები გაჰყვება ვაგონებს და მათ ტრაპიზონში ჩაიტანს, მცხოვრებლებს კი არ დაუტოვებსო.

განა შეიძლებოდა ასეთ პირობებზე დათანხმება? ან რომ ხელმეორეთ მიგვეცა ფული ჩვენსავე ნაყიდ ფქვილში, რა გარანტია გვქონდა, რომ ამ პურს ახლა მეორე სადგურზე მეორე ბალშევიკური რესპუბლიკა არ მიითვისებდა?

ამ მაგალითიდან აშკარათ ჩანს, თუ რაგვარი დაბრკოლებები უდგება წინ ახლა სასურსათო საქმეს. უმთავრეს სადგურებზე გაბატონებულია ფრონტიდან ჩასული ჯარი, იგი თავს ბალშევიკურს უძახის, ნამდვილათ კი მხოლოდ დავლის შოვნასა და ფულების მოხვეჭაზე ფიქრობს.

საკმარისია ამ სადგურებზე გამოიარო, რომ თვალში გეცეს საშინელი სპეკულიცია, რომელიც აქ სუფევს. ბალშ

გაიძახოდენ „ჯალათები“, „მკვლელები“, „გასისხლიანებული ხელები“ და სხ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სახალხო კომისარებს მეფის ჯალათებს ადარებენ. ჩვენ მაღლა ვწევთ ძალა-უფლების ძალით ხელში ჩამგდებთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშასო—ნათქვამია რეზოლიუციაში; დამფუძნებელი კრება აღიარებულია როგორც უდიდესი მონაპოვარი მუშათა კლასისა. რეზოლიუციას მხოლოდ 10—12 კაცმა მისცა წინააღმდეგ ხმა.

„იამაში“ 8 იანვარს გამართულ მუშათა მიტინგს დაესწრო 5 ათასი მუშა. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბალშევიკ დელეგატების მოხსენებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. ისმოდა ხმები „ჯალათები“, „მკვლელები“-ო. თითქმის ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ მუშათა მშვიდობიან მანიფესტაციის დახვრეტისა და დამფუძნებელ კრების გარეკის გამო და მოითხოვენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელ-ახალ არჩევნებს, ვინაიდან მან არ გაამართლა მუშათა იმედები.

ერიკსონის ქარხნის მუშებმა ასეთი რეზოლიუცია მიიღეს: „ჩვენ, ერიკსონის ქარხნის მუშები, რომლებიც მონაწილეობას ვიღებდით 5 იანვრის მანიფესტაციაში, პროტესტს ვაცხადებთ, ე. წ. სახალხო კომისართა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც 5 იანვარს შეღებეს პეტროგრადის ქუჩები პროლეტარულ სისხლით. პროტესტს ვაცხადებთ აგრეთვე იმ საზიზღარ სიცრუის წინააღმდეგ, რომელსაც ავრცელებს გაზ. „პრავდა“, (ბალშევიკების გაზეთია).

ასეთივე რეზოლიუცია მიიღო მარკუსის ქარხნის მუშათა კრებამ. რეზოლიუციას ხმა მისცა დაახლოებით 500 მუშამ, წინააღმდეგ მხოლოდ 6 მუშამ.

ჩრდილოეთ ფრონტის ჰიდრო ტეხნიკ მუშათა დელეგატების ყრილობა და ობუხოვის ქარხნის მუშებიც პროტესტს აცხადებენ ბალშევიკების ძალადობის წინააღმდეგ და მოითხოვენ დამფუძნებელ კრების მოწვევას.

კიდევ ბალშევიკების „საქმიანობა“

11 თებერვალს, ნავთლუღში რკინის გზის სადგურზე ერთმა ჯარისკაცმა ვინმე პროშლიაკოვმა შემდეგი გვიამბო:

ჩვენ ვდგევართ მე-300 ვერსზე და გვსურს რამენაირათ ჩქარა გავემგზავროთ სახლში, მაგრამ სახლისაკენ წასვლის მაგიერ ჩვენ სისხლის საღვრელათ გვიწოდებენ. შაბათს დღის ორი საათი იქნებოდა, რომ ვიღაც მაღალი, ჯარისკაცის ფარაჯაში ჩაცმული შემოვარდა ჩვენთან. ჩვენ ახალი ნასადილევი ვიყავით და იქვე თავმოყრილი ვისხედით. ზოგი სახლში წასვლაზე ლაპარაკობდა, ზოგი სხვა საჭირბოროტო საკითხებზე და ზოგიც ოხუნჯობდა. ეს დაუპატიჟებელი სტუმარი დიდი ამბვით მოვიდა ჩვენთან და მოგვმართა:—ძმებო, მივეშველოთ ჩვენს ძმებს სომხები, ქართველები, თათრები შეიარაღებულან და რუსებს ხოცავენ. ახლა ხან თფილისში ალექსანდროვის ბაღში ასამდე რუსი მოჰკლეს. ჩვენ ბალშევიკებს მიტინგი გვქონდა გამართული და ვლაპარაკობდით თქვენს თავისუფლებას, რომელიც სისხლით მოვიპოვეთ ამიერ-კავკასიის კომისარიატი ღუპავს. ამხანაგებო, გავეშუროთ იმ კომისარიატის გასანადგურებლათ. ნუ თუ არ შევიბრალოთ ის ჩვენი ძმები, რომელნიც კომისარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცნენო და სხვა ბევრი პროვოკაციული რამ გვიამბო იმ უცნობმა. ჩვენ თავი მოვიყარეთ და მოსულებს ვუთხარით, რომ ჩვენ არავითარი სისხლის ღვრა არ გვინდა და არც არავისთანა გვაქვს რამე საბრძოლველი. ჩვენი სურვილია სახლში მშვიდობით დაბრუნება და არა კვლავ ბრძოლა—გვეყო, რაც ვიბრძოლეთო. აქ-იქ ხმებიც კი ისმოდა: დავიჭიროთ და მოვჰკლათ ეს პროვოკატორებიო.

მოსულებმა რაკი დაინახეს, რომ ვერას გახდებოდენ, უკან გამობრუნდენ.

ასეთია ბალშევიკების ბრძოლის ტაქტიკა. ნუ თუ ბოლო არ მოეღება მათ პროვოკატორობას.

მელ. ფერაძე.

ქუთაისის ამბები

6 თებერვალი.

რაც სამშაბათს, 6 თებერვალს, ქუთაისში მოხდა, იმის აწერა კალმით ყოვლად შეუძლებელია. ეს ორი იდეა ქუთაისში თავს იყრიდა სოფლებიდან ჩამოსული განთავისუფლებული ჯარის-კაცები, რომელნიც ორშაბათს მოვიდენ საბჭოში და მოითხოვეს, რომ მათთვის მიეცათ თოფები, როგორც სხვა პოლკში მყოფ ჯარის-კაცებისთვის.

საბჭომ დაადგინა, რომ ისინი წასულიყვენ თავიანთ სოფლებში და იქ მიემართათ აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც მათ, თუ უკანასკნელი საჭიროდ დაინახავდა, დაურიგებდენ თოფებს. ამ დადგენილებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია მათ შორის.

სანამ საბჭო ზემორე მოყვანილ დადგენილებას გამოიტანდა, ამ განთავისუფლებულმა ჯარის-კაცებმა, რომელთა შორის ერია მთელი ქუთაისის დეზერტირები და ჯიბგირები ჯარის-კაცის ტანისამოსში გამოწყობილი, ისარგებლეს და გასტეხეს საბჭოს საწყობი, სადაც ეწყო პოზიციიდან დაბრუნებულ ჯარის-კაცების თოფები, და რომ ჩვენ ამხანაგ ჯარის-კაცებს არ მიესწრო, სრულიად დაიტაცებდენ. ასეთ თავაშვებულ ჯარის-კაცებს მიემატათ ადგილობრივ გარნიზონის ჯარის-კაცებიც, რომლებიც ზოგიერთი უპასუხმგებლო პირების ავანტიურული აგიტაციის წყალობით, რომ მათ ითხოვენ სახლებში და მათ მაგივრათ იწვევენ „ვიღაც“ მოწაფეებს, ხოლო ჯარისკაცებს კი ეუბნებიან, თოფები არ არისო. თვით კი საწყობებში უწყვიათ თქვენ წინააღმდეგ გამოსაყენებლათ და სხ.

აი ასეთმა აგიტაციამ გამოიღო ნაყოფი და სამშაბათს, 6 თებერვალს, დღით ორ საათზე, მე-115 სათადარიგო ქართული პოლკის ჯარისკაცები მიცვივდენ პრინც ოლდენბურგის შამპანიურის ქარხანას, ბალახვანის ქუჩაზე, სადაც ეწყო მე-110 პოლკიდან გადმოტანილი უკრაინის პოლკის 650 რუსული თოფი, და მოითხოვეს კარების გაღება, იმავე წუთში იქ გაჩნდა გუბერნიის კომისარი გრ. გიორგაძე, რომელიც უმტკიცებდა, რომ ეს თოფები ეკუთვნის ჩვენს მოძმე უკრაინელებს და ჩვენ მის ხელის ხლება არ შეგვიძლია, რომ ამით ისინი არ გადვიმტეროთო.

მათზე არავითარმა მტკიცებამ არ გასჭრა და შემდეგ გუბერნიის კომისარმა ნება დართო, რომ წაეღოთ პოლკის ცეიხგაუზში. ჯარისკაცებმა დააწყვეს დროგზე და წაიღეს, მაგრამ სანამ ცეიხგაუზში შეიტანდენ, დაიწყეს ტაცება და ნაწილი გაიტაცეს.

ამავე დროს ჯარისკაცების ფარაჯაში გადაცმულებმა ასტეხეს სროლა და დაეცნენ ქუთ. რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტს, საიდანაც წაიღეს 200 რუსული თოფი, რამდენიმე ათასი ტყვიები და რამდენიმე ათას მანეთათ ღირებული საქონელი.

ერთ და იმავე დროს ჯარი დაეცა გეგუთის ქუჩაზე ცეიხგაუზს,საიდანაც გაიტაცეს თოფები და შემდეგ კერძო მესაკუთრეს სახლს, სადაც ეს თოფები ეწყო, ცეცხლი წაუკიდეს.

იგივე ჯარის კაცები თოფების შენახვის შემდეგ მივიდენ ისევ პრინც ოლდენბურგის ქარხანაში, რომელიც დღეს ქალაქის ქონებას შეადგენს, გასტეხეს ყველა სარდაფები, გაიტაცეს შამპანიურები, ღვინოები, კონიაკები, და რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, რამდენიმე მილიონათ ღირებული სხვა და სხვა აპარატები. განადგურებულია მთელი ქარხანა. გათენებამდის განუწყვეტლივ მიქონდათ საქონელი ჵ ანადგურებდენ ძვირფას ქონებას. აღსანიშნავია, რომ დარბევაში მონაწილეობა მიიღო ბალახვანის ქუჩის ზოგიერთ მცხოვრებლებმაც, რომლებმაც არც კი იციან, რომ ამით ანადგურებენ ისევ თავიანთ ქონებას. მთელი ღამის განმავლობაში ქუჩაში განუწყვეტელი, არეულ-დარეული, საშინელი სროლა იყო. ისვრიდენ ყველგან, სადაც მოეხასიათებოდათ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან განუწყვეტლივ ისროდენ, ბოლოს, როგორც იქნა, ღამის ორ საათზე დაქანცულები და ძალზე დატვირთულები იარაღებით და ნივთებით წავიდ წამოვიდენ. მთელი მილიცია ფეხზე იდგა, მაგრამ ძალის სიმცირის გამო ვერაფერი ქნა. დღეს ქალაქში უკვე სიწყნარეა.

7—8 თებერვალი.

ქვენა გრძნობებით აღტყინებულ პროვოკაციისა და უპასუხისმგებლო პირების წყალობით ჯარის-კაცების ტანსაცმელში გადაცმულმა ჯიბგირებმა და გარნიზონის ნაწილმა პრინც-ოლდენბურგის ქარხანა დაამტვრია, დაარბია. მაგრამ რაც 6 თებერვალს დარჩათ დაუმტვრეველი 7-ს დაასრულეს. დაღამებისათანავე შეუდგენ ბნელ საქმეს. შეცვივდენ ქარხანაში. გადმოაგორეს ბოჭკები, დაამტვრიეს შენობა, ლაბორატორია, ცარიელი ბოთლები. მთვრალები, გალეშილები არბევდენ, ამტვრევდენ. დაახლოებით ზარალი ამ ქარხანაში ერთ მილიონს უდრის.

გეგუთის ქუჩაზე გაძარცვის შემდეგ დასწვეს მე-110 პოლკის ცეიხგაუზი. დასწვეს სადგურთან საპიორნი პოლკის ყაზარმა.

ყველა ამას ელოდენ ქუთ. მუშათა საბჭო და პოლიტიკური პარტიები და ემზადებოდენ კიდეც, რასაკვირველია, იმდენათ, რამდენათ შესაძლებელია ქუთაისში. გამოვიდენ ს.-დ. მენშევიკების და ს.-ფედერალისტების წითელი რაზმები. დილას საბჭოთა შეერთებულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი ანარქიასთან საბრძოლველათ. შუადღისას კრება ჰქონდა ანარქიასთან მებრძოლ კომიტეტს, რომელმაც გამოიმუშავა საჭირო ზომები, გამოაცხადა სამხედრო წესები ქალაქში და ყოველ შემთხვევისთვის შეატყობია პროვინციებს სასწრაფოთ გამოეგზავნათ დამხმარე რაზმები. სენაკი, სამტრედია, ჭიათურა და სხვები სასწრაფოთ მოგვეშველენ. საბრძოლველათ გამზადებულნი, პროვინციელი ამხანაგები მთელი ღამე მზათ იყვენ და უცდიდენ განკარგულებას, რომ ქუჩაში სამოქმედოთ გამოსულიყვენ.

განსაკუთრებით მარჯვეთ იყო ქალაქის მილიცია. რამდენჯერმე მოუხთა შეტაკება მძარცველ ბრბოსთან და გაფანტა იგი.

არის მსხვერპლი მძარცველების მხრივ რაზმელები ღამე ქალაქს იცავდენ.

საერთოდ ქალაქში ნერვები დაჭიმულია. ყველა, ვისაც ანარქიასთან ბრძოლა რევოლიუციის გაღრმავებათ და თავის მოქალაქობრივ მოვალეობათ მიაჩნია, ზიზღს უცხადებს მძარცველებს და მათ, ვინც ამ ანარქიას ხელმძღვანელობს, ცდილობს წესრიგის დამცველთ შეძლებისდაგვარათ დახმარება აღმოუჩინოს. მცხოვრებლები დაშინებული არიან.

თვით ჯარისკაცებში ერთსულოვნება არ არის. შეგნებული ნაწილი საბჭოში მოდის და წესრიგის დაცვაში მონაწილეობს. ქურდ-ბაცაცები და მძარცველები დაშინებული არიან.

8 თებერვალს ქუჩებში სიწყნარეა. ხშირათ მოსჩანს ჯარისკაცი ნადავლით. კომიტეტი ზომებს ღებულობს მათ ასალაგმავათ. გზები შეკრულია, სამხედრო წესები ჯერ არ დარღვეულა.

7 თებერვალს ჯარისკაცებმა დაცარცვეს ქუთაისში არსებული რამოდენიმე ცეიხგაუზი. გატანილია რამოდენიმე ასი ათასი მანეთის საქონელი.

ღამით, ქუჩაში გამოვიდა მე-115 პოლკის ჯარის-კაცები და მოითხოვდენ ვიღაც ვითომ დაპატიმრებულ ჯარისკაცის განთავისუფლებას. როდესაც მათ განუცხადეს, რომ არავინ ჯარისკაცთაგანი დაპატიმრებული არ არის, უკანასკნელები გაემართენ ჯაჭვის ხიდისკენ წყალ გაღმა უბნის სამმართველოსაკენ და იქ მოითხოვეს ამ ვითომ დაპატიმრებულ ჯარისკაცის განთავისუფლება და სამმართველოს ჩაუსაფრდენ. როგორც იქნა მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს წარმომადგენლებმა ისინი დაარწმუნეს, რომ ეს პროვაკაციაა, მაგრამ სწორედ ამ დროს მეორე წყება ჯარისკაცების, რომელთაც წინ მიუძღოდა ერთი ქართული პოლკის აფიცერი, ჯარისკაცის ტანისამოსში გადაცმული, აქეზებდა მათ „წავიდეთ ცეიხგაუზს დაცემიანო“. მათ მიუსწრო ორმა რევოლიუციონურ როტის ჯარისკაცმა და მოინდომეს აფიცრის დაპატიმრება, რომელიც სადღაც გაჰქრა. ამ დროს ატყდა საშინელი სროლა. ჯარს ჯარი ემატებოდა. მრავალი მათგანი ისე იყვენ ღვინით გალეშილები, თოფს საით ისროდენ არ იცოდენ და თან ყვიროდენ: „ობისკები“ „ობისკებიო“. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ამ დღეს,როგორც ამბობენ, სანამ ეს არეულობა მოხდებოდა, ერთი აქაური ცნობილი ბალშევიკი ჯარში აგიტაციას ეწეოდა და მოუწოდებდა მათ ბურჟუების, ახლად გაწვეულ ჯარისკაცების, მთავრობის და სხვათა წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლისათვის. საჭიროა აღნიშნულ აგიტატორს ანგარიში გაუწიონ ადგილობრივმა მოთავეებმა, სანამ ძმის სისხლი ჯერ კიდევ არ დაღვრილა და აღაგმონ ის.

„ს.-დ.“

მიწის საკითხი

მიწის საკითხის შესახებ თათბირის საკანონმდებლო სექციის 29 და 30 იანვრის სხდომაზე განიხილეს საკითხი ამიერ-კავკასიის ტყეების შესახებ.

მოხსენება გააკეთა სატყეო კომისიის წარმომადგენელმა ზაკტრეგერმა. მან აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიაში რუსების მოსვლამდის მცხოვრებთა რიცხვი ცოტა იყო, ტყეებით კი ვრცელი მიდამოები იყო დაფარული ქართველთა და მუსულმანთა ოლქებში; ამიტომ მაშინ გამეფდა შეხედულება ტყეებზე, როგორც საერთო ქონებაზე. კერძო საკუთრება ტყეებზე არ ყოფილა; ტყეებს განაგებდენ მეფეები. მეფეები ხანდახან კერძო პირებს ანიჭებდენ განსაკუთრებულ უფლებებს, მაგრამ ეს უფლება არ ნიშნავდა კერძო საკუთრების უფლებას, არამედ მხოლოდ ტყით სარგებლობას. აღნიშნულ შეხედულებას საქართველოში ამტკიცებდა მეფე ვახტანგის კანონები, ხოლო მუსულმანთა ოლქებში—ადათის უფლება და სარწმუნოებრივი შეხედულებები: ქრისტიანების ოლქებში ტყით სარგებლობისათვის დაწესებული იყო განსაკუთრებული გადასახადი; მუსულმანებში კი სრულიათ არ არსებობდა რაიმე განსაკუთრებული უფლება ტყით სარგებლობისათვის: აქ ვისაც რა უნდოდა თავის მოთხოვნილებებისათვის მიჰქონდა სრულიად თავისუფლათ და ამისათვის არაფერს არ იხდიდა.

რუსეთის მთავრობამ შემოსვლისთანავე იწყო განსაკუთრებულ უფლებრივ წესების შემოღება აგრარულ სფეროში და სრულიათ არ უწევდა ანგარიშს განმტკიცებულ შეხედულებებს და ადგილობრივ პირობებს. მან მიწები და ტყეები გადასცა საკუთრებათ ქართველთა და მუსულმანთა პრივილეგიებით აღჭურვილ კლასებს; ამით უკანასკნელებმა მიიღეს ყველა ის უპირატესობანი, რაც საკუთრების ინსტიტუტიდან გამომდინარეობს, მაგალითად, მათ აღკვეთეს მცხოვრებთა მიერ ტყით უსასყიდლოთ სარგებლობის უფლება და სხვა.

ამრიგათ გასულ საუკუნის მე-40 წლებში ყველა ამიერ-კავკასიის ტყეები გადაექცია კერძო პირთა საკუთრებათ; ტყემ დაკარგა ძველი საერთო ქონების ხასიათი და ტყით სარგებლობისათვის დაწესებულ იქნა გადასახადი.

1864—65 წ. წ. საგლეხო რეფორმის დროს გლეხობას, მცირედი გამოკლებით, სრულიათ არ შეეძლო ტყით სარგებლობა, არც გადასახადის გაღებით. ტყეები გადავიდა სრულათ და შეუზღუდველათ მემამულეთა ხელში. მუსულმანთა ოლქებში, სადაც არ ყოფილა ბატონყმობა, ასეთივე პრინციპი განახორციელეს სახელმწიფო გადასახლებულთა მიმართ (государственные поселяне); ტყე გადმოსახლებულთა ნადელში (поселянскій надѣлъ) ირიცხებოდა. აქ გადმოსახლებულები ტყით მემამულეებთან თავისუფალ შეთანხმებით სარგებლობდენ.

ასეთივე შემზღუდველი პოლიტიკა გაატარა მთავრობამ სახაზინო ტყეებით სარგებლობის გარშემოც. ყოველგვარ სატყო მასალ. მოჭრა აღკრძალულ იქნა, თუ ამისათვის სპეციალ. ნებართვა არ იქნებოდა. ნებართვის აღება კი მეტათ გაძნელებული იყო, რადგანაც ტყეების მფლობელთა პერსონალი ძალიან მცირე რიცხვიდან შესდგებოდა.

ყველა ეს შეზღუდვანი მღელვარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მცხოვრებთა შორის, რომელსაც დიდი ხნით ჰქონდა შემუშავებული წარმოდგენა ტყეზე, როგორც თავის ქონებაზე. მღელვარებას შედეგათ დათმობა მოყვა და დროებით შეიცვალა სატყეო პოლიტიკა; მაგრამ მე—50 წლებში კვლავ აღდგენილ იქნა აღკრძალვის პოლიტიკა. სხვადასხვა ფორმით ტყით სარგებლობა თანდათან იზღუდება; მცხოვრებლებს თანდათანობით ეცლება ასეთი უფლება. უფასოთ სარგებლობის უფლება მინიმუმამდის ჩამოდის; 1886 წლიდან ხაზინა ახდევინებს სახაზინო გლეხებს წაღებულის 10 პროცენტს „სატყეო მასალების დამზადების შემდეგ დარჩენილ ტოტებისა და წვეტებისაგან ალაგის გაუწმენდაობის გამო“. შეზღუდულ იქნა სახაზინო ტყეში საქონლის ძოვება; აღიკრძალა ნადირობა. მე-70 წლებში ტყით თავისუფლათ სარგებლობის უფლებიდან სრულიათ არაფერი დარჩა, ყოველ შემთხვევაში ქაღალდზე მაინც. ქაღალდზე იმიტომ, რომ თვით ცხოვრებაში ხშირათ ხდებოდა ახალ-ახალ შემზღუდავ კანონების დარღვევა. სატყეო უწყებას ფაქტიურათ არავითარი შეძლება არ ჰქონდა ყველა ასეთი მოვლენები თავიდან აეცილებია. სატყეო უწყების ყველა ზემოთ მოყვანილი ზომები ხელს უწყობდა სასატყეო მეურნეობის კეთილდღეობას. მაგრამ ყველა ესენი მიდიოდენ მცხოვრებთა უფლებრივ შეგნების წინააღმდეგ. ამიტომ ასეთ წინდაუხედავ პოლიტიკის მეოხებით ხალხი გაბოროტდა და იგი ტყის დაუძინებელი მტერი და მტაცებელი შეიქნა. მთავრობა თავის პოლიტიკაში ანგარიშს უწევდა მხოლოდ ხაზინის ინტერესებს და აბუჩათ იგდებდა მცხოვრებთ და ამით გაიხადა ისინი თავის მტრათ.

ამიერ-კავკასიის ტყეების სივრცე სხვადასხვა წყაროებში სხვადასხვა ნაირათ არის აღნიშნული. ი. ს. მედვედევის გამოანგარიშებით, რომელიც მან მოახდინა 30 წლის წინათ, ტყეების სივრცე უდრის 4.801.000 დესეტინას, რაც ამიერ-კავკასიის საერთო სივრცის 21 პროც. შეადგენს. შემდეგი წლების გამოანგარიშებანი გაცილებით უფრო ნაკლებ სივრცეს გვიჩვენებენ; ეს ერთის მხრით იმით აიხსნება, რომ მას შემდეგ ბევრი ტყე განადგურდა და მეორეს მხრით იმით, რომ ეს გამოკვლევები შედარებით უფრო სწორია. სხვა გამოკვლევების თანახმათ, მაგ. სამიჯნო განყოფილების, ტყის დამცველ კომიტეტების და სხვ., რომლებიც „სატყეო დეპარტამენტის წლიურ“-შია (ежегодникъ лѣсного департамента“) მოყვანილი, ამიერ - კავკასიის ტყეების რაოდენობა 3.836.890 დეს. უდრის. ამათში 2.457.836 დეს. სახაზინო ტყეებია 1.379,055 დეს. კერძო მესაკუთრეების. ამ ცნობების მიხედვით ტყეები ამიერ-კავკასიის სივრცის 17 პროცენტს შეადგენს.

ტყის განაწილება ამიერ-კავკასიაში ყველგან ერთი და იგივე არ არის: უფრო მეტი ტყეები დასავლეთ ამიერ კავკასიაშია; აღმოსავლეთი ნაწილი კი ტყის ძალზე ნაკლებობას განიცდის. მაგალ. ერევნის გუბერნიაში ტყეები საერთო სივრცის მხოლოდ 3 პროც. შეადგენს. გარდა ამისა აქაური ტყეები ძალზე გათხელებულია. ახალქალაქის მაზრაში (თფ. გუბერნია) კერძო მესაკუთრეთა ტყეები სრულიად არ არის, სახაზინო ტყეები კი საერთო სივრცის ერთ პროცენტს შეადგენს. ბაქოს და ჯევათსკის მაზრებში ტყის რაოდენობა სივრცის 2 პროცენტს უდრის. ამიერ კავკასიის სხვა მაზრებში ტყიანი ადგილები მეტია.

კერძო და სახაზინო ტყეების რაოდენობა შემდეგია: ჯებრაილსკის და გეოკჩაისკის მაზრებში საერთო სივრცის 5—10 პროცენტ. განჯის, თფილისის და ჯევანშირის მაზრებში 10—200 პროც.; შუშის, ზანგეზურის, ბორჩალოს, სიღნაღის, დუშეთის, ნუხის, ახალციხის, ყაზახის და თიანეთის მაზრებში 20—30 პრ.; სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის, თელავის, რაჭის, შორაპნის, ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში 30—50 პროც. ამ ტყეების დიდი უმრავლესობა მეტათ გათხელებულია და ითხოვს ხელახალ გაშენებას. თვითოეულ მცხოვრებზე საერთოთ მოდის: სოხუმის ოლქში 5 დეს. მეტი; ბათუმის ოლქში, ლეჩხუმის (ქუთ. გუბ.), დუშეთის (თფ. გუბ.) და ყაზახის (განჯის გუბ.) მაზრებში 2—5 დეს.; ართვინის ოლქში, ოზურგეთის და შორაპნის მაზრებში (ქუთ. გუბ.), გორის, თიანეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებში (თფ. გუბ.), განჯის, ზანგეზურის და ჯევანშირის მაზრებში (განჯ. გუბ.) და ზაქათალის ოლქში 1—2 დეს.; სენაკის და ქუთაისის მაზრებში (ქუთ. გუბ.), შუშის, ჯებრაილის, ნუხის, არეშის მაზრებში (განჯ. გუბ.), შემახის და გუბის მაზრებში (ბაქ. გ.) და ყარსის ოლქში—0,5—1 დეს. სხვა ნაწილებში სულზე 0,5 დესეტინაზე ნაკლები ტყე მოდის. მხოლოდ სახაზინო ტყეები თვითოეულ სულზე მოდის: განჯის გუბერნიაში 0,703 დეს. (სულ 417,000 დეს., საერთო სივრცის 10,3 პროც.), თფ. გუბ. 0,677 დეს. (სულ 566.000 დეს., 12,7 პროც.). ბაქოს გუბერნიაში 0,482 დეს. (295,000 დეს., 8,2 პრ.). ყუბანის გუბ. 0,427 დეს. (სულ 276,000 დეს., 14.3 პროც.), ერევნის გუბ. 0,04 დეს. (სულ 67.000 დეს., 2,6 პროც.). ყველა ჩამოთვლილი ხუთ გუბერნიისათვის სახაზინო ტყეების სივრცე შეადგენს 9,6 პროცენტს. ამიერ კავკასიის ყველა სახაზინო ტყეების 130,000 დესეტინა ბარშია; დანარჩენი (ორ მილიონზე მეტი დესეტინა) მთებში.

კერძო მესაკუთრეთა ტყეები, რომლებიც 1,379,155 დესეტინას შეადგენენ, შემდეგნაირათ ნაწილდება: თფილისის გუბერნიაში 613,825 დეს.; ქუთ. გუბ. 428,946: განჯის გუბ. 155,804 დესეტ.; ბაქოს გუბ. 114,850; ბათუმის ოლქში 59,096 და ერევნის გუბ. 6,633 დესეტ.

სატყეო კომ., რომლის დავალებითაც ლაპარაკობდა მომხსენებელი, საჭიროთ სცნო, რათა ყველა ტყეები, როგორც კერძო მესაკუთრეთა, ისე სახაზინო, გადაცემულ იქნას სახელმწიფოს განკარგულებაში. მხოლოდ ამ გზით იქნება მოსახერხებელი სატყეო მეურნეობის გაუმჯობესება და ტყეების დაცვა, რომლებიც მეტათ საჭიროა ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ინტერესებისათვის. სატყეო მეურნეობის უფრო კარგათ წასაყვანათ საჭიროა ტყის გაშენება და გაუმჯობესება იმ მხარეებში, სადაც ტყეები უფრო მეტია; ამასთანავე საჭიროა ტყის უწესრიგო ჩეხვასთან სასტიკი ბრძოლა. განსაკუთრებული ყურადღება მთების ტყეებს უნდა მიექცეს, რადგანაც ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მხარისათვის. ამ ტყეების ზომიერი ექსპლოატაცია ისეთი ძნელი მოსახერხებელია ტეხნიკური მხრივ, რომ ყოვლად შეუძლე-

---

ვიზმი ამას ოდნავ ხელს არ უშლის. პირიქით საერთო ანარქია ამ სპეკულიაციის საუცხოვო ნიადაგათ გამხდარა.

რა უნდა გაეკეთებია ყრილობას ასეთ პირობებში? რა ზომები უნდა გამოეძებნა?

ჩვენ ვცადეთ ზოგიერთი პირების გაგზავნა სტავროპოლის გუბერნიაში. და აი რა გამოირკვა:—იქ ბალშევიკურ ჯარს დაუპყრია გუბერნია და ბატონობს. ყველა ვაჭრებისთვის ჩამოურთმევიათ საქონელი და გაუნაწილებიათ. ქარხანა-ფაბრიკები და პროლეტარიატი ამ გუბერნიაში თითქმის სრულიად არ მოიპოვება. ნიკოლოზის დროს ეს გუბერნია ენერგიულათ თხოულობდა ერობა არ შემოეღოთ ხალხში. ახლა რაკი დრო იშოვნეს, პირველათ ყოვლისა ერობა გააუქმეს. მარა იმდენი ძალა არ დაურჩათ, რომ მისი ლიკვიდაცია მოეხდინათ და დროებით გადადვეს ამ საქმის სისრულეში მოყვანა.

აქაური ბალშევიკები ასეთ თეორიას ქადაგებენ გაცვლა-გამოცვლისას: ყიდვა გაყიდვა ბურჟუაზიული საქმეა და დასაგმობი.

თქვენ მოიტანეთ საქონელი, რომელიც ხალხს ესაჭიროება, ფართალი, რკინა, შაქარი და სხვა. ჩვენ მათ დავურიგებთ გლეხებს და იმედი გვაქვს იგინიც ზედმეტ პურს არ დაიშურებენ თქვენთვის. თვითონ ხომ არ შეჭამენ და რათ უნდა შეინახონ? ჩვენი წინადადება, რომ წინდაწინ მათ მიეცათ პური დამშეულთათვის და ჩვენც მადლობის ნიშნათ საქონელს მივართმევდით, მათ არ ეჭაშნიკათ. თუ გლეხობის გული არ მოვიგეთ, ისე არც ჩვენ გვიწამებენ და არც თქვენ გენდობიანო, ამრიგათ ანარქისტული წესი გაცვლა-გამოცვლისა არ განხორციელდა.

საერთოთ კი უნდა აღვნიშნო, რომ პირდაპირი გაცვლა საქონლისა საქონელზე საყოველთაოთ არის აქ მიღებული თვით სასურსათო კომიტეტებისაგანაც. ყველა კომიტეტი თხოულობს, მომიტანეთ საქონელი, მივყიდით მათ გლეხებს და მოვატანინებთ პურს. ამ ნიადაგზე ბევრი გვქონდა ლაპარაკი მთავრობებთან, კომიტეტებთანაც. ყრილობამაც მთელი სისტემა შეიმუშავა ასეთ გაცვლა-გამოცვლის; მარა სტავროპოლის ანარქისტულ სისტემამდე არავინ არ მისულა: გაძლეთ გლეხი მუქთათ საქონლით და ის შემდეგ პურს მუქთათვე მოგცემსთო.

ფაქტიურათ ეს „სოციალისტებიც“ ძალიან კარგათ ვაჭრობენ და საქონელზე პურს ცვლიან, მარა სარგებლობენ რა დამშეული ადგილების გაჭივრებულ მდგომარეობით, ერთი ორათ აძრობენ ტყავს. მათ საქონელს ფასს უკარგავენ, პურს კი აძვირებენ. ამ შემთხვევაში ბალშევიზმი მეტათ სასარგებლო და მომგებიანი საქმე შეიქნა ამ მსუქან გლეხებისათვის. იგი მათი გამდიდრების წყაროთ გადაიქცა.

ამ მხრით ბალშევიკები არსებითად არ განსხვავდებიან ყაზახთა მთავრობებისაგან. ეს უკანასკნელნიც თავის პურის სიმრავლეს მთელი კუთხის გამდიდრების და იქეთკენ საქონლის, კაპიტალის, წარმოების მიზიდვის საშუალებათ ხდიან.

პური გინდათ—საქონელი მოგვაწოდეთ, პური გინდათ—ფული გამოგვიგზავნეთ, პური გინდათ—პოლიტიკურათ დაგვემორჩილე, დაგვიკავშირდი.

ასე ამბობენ ესენი, თან ამასვე იმეორებენ ბალშევიკები, მარა უფრო პირდაპირ და მოუხეშავათ. გაბალშევიკდით და პურს გაჭმევთ, ბურჟუაზიული მონოპოლია მოსპეთ და პურს ათასჯერ ძვირათ მოგყიდით. ერთჯერ ნაყიდი, მეორეთ იყიდეთ და პურს გამოგიგზავნით.

ერთი სიტყვით, რწმენა, ჯიბე, ქონება შემოგვწირეთ და პური არსებობისა მიირთვით. ანარქიამ გახრწნა საზოგადოება. ადამიანური გრძნობა-სოლიდარობა, საზოგადოებრივი ინსტიქტები თითქმის სრულიად ჩაახშო. სოციალურ ლტოლვილებათა ნაცვლათ, ვიწრო პირადი, ან ჯგუფური ეგოიზმი გაბატონა, თვით, სოციალიზმის სახელიც კი გამდიდრების და სპეკულიანტობის იარაღათ გახადა. აი ასეთია შედეგი ჩრდილოეთ-კავკასიის... უნდა ერთი რამ კი აღვნიშნო: ბალშევიკი ბევრი ვნახე, მარა მათგან „სოციალიზმის“ ხსენება არ გამიგონია. ბევრს ვემუსაიფე, მარა ამ საგანზე ხმა ვერ დავაძრევინე. მათ იციან მხოლოდ ერთი რამ აფიცრები და ბურჟუები უნდა მოიშოროთ და თვითონ იბატონოთ. ბატონობს კი წვრილი ბურჟუაზია. მუშები თითქმის ყველგან უფრო წესიერებას იცავენ. ხშირათ იდეიურ მებრძოლათ გამოდიან. მიუდგომლობას და გულწრფელობას იჩენენ. სალდათები და შეძლებული გლეხები, რომელნიც ვაჭრობენ, სპეკულიანტობენ, თოფით და ტომრებით შეიარაღებული მოგზაურობენ და სარგებლობენ. და საერთო ტონის მიმცემი, მთავარი აქტიური ელემენტები სწორეთ ეს უკანასკნელნი არიან. ეს ასეა ყოველ შემთხვევაში ჩრდილო-კავკასიაში. აქ „ბალშევიზმის“ სახელით წვრილი სპეკულიაცია ბატონობს და თავის ბატონობას დღესასწაულობს ჵ ახალ მომავალ, რევოლიუციის წიაღიდან გამოსულ ბურჟუაზიულ კლასს საფუძველს უმზადებს. იგი ხვალ საშინელ რეაქციონერათ იქცევა. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება, დღესვე „ჟიდებს“ და „ინოროდცებს“ მაგარი სიტყვებით იხსენებს. ხვალ კი აშკარა ანტისემიტურ პოლიტიკის მიმდევრათ გამოვა და მე ვშიშობ, რომ იგი თავის ტლანქი ქუსლებით გაუჭყლეტს ხვალ თავს იმ პროლეტარს, რომელმაც ამ რევოლიუციაში მხოლოდ თავისუფლების ნიშნები იგემა და მცირე ხნით დამოუკიდებლობა იგრძნო.

მუშები ძლიერ აფასებენ ამ დამოუკიდებლობას. მარა მოუმზადებლობის გამო მათი „ბატონობის“ სფერო ერთ სადგურს, ან ქალაქს არ სცილდება. აქ იგი წესიერების დამყარებას ცდილობს თავისებურათ, მარა საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში ამის მოწყობა არ ძალუძს. ამიტომ მისი დამარცხება ისტორიულათ აუცილებელია, ვინაიდან მისი „წესიერება“ ანარქიას ვერ სპობს და ქვეყნის ეკონომიურ განადგურებას მალამოს ვერ დასდებს.

წვრილი სპეკულიანტი და სოფლის ჩარჩი კი ხარობს, ნეტარებს, სუქდება და ხვალ თვით ამ მუშას საფრთხეს უმზადებს. ბალშევიზმი თვით ბადებს თავის მესაფლავეს. და უბედურება ისაა, რომ საფლავს იმ მუშათა რაზმებშიაც უმზადებს, რომელნიც ამ ანარქისტულ მოძღვრების დროშის ქვეშ გამოდიან... პროლეტარიატი ყველაზე ნაკლებ სარგებლობას პოულობს ამ დიქტატურით, სრულიად ვერას პოულობს და ყველაზე მეტს კი წააგებს. საქმის წაგებასთან ერთათ დაჰკარგავს იმ გულუბრყვილო რწმენასაც, რომელსაც დღეს ადგილი აქვს და, მე მეშინია, რომ ამასთან ერთათ დიდი ხნით აიცრუებს გულს იმ სოციალისტურ მოძღვრებაზედაც, რომლის სახელით ბალშევიზმმა მას ასეთი განსაცდელი მოუმზადა.

რ. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ეს ტყეები კერძო პირების ხელში დარჩეს.

ბარის ტყეებს დაჭერილი აქვთ ბევრი ისეთი ადგილები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის გამოდგებოდა; ამათ ქვეყნის ეკონომიკისათვის იმდენი მნიშვნელობა არა აქვთ, რამდენიც მთების ტყეებს. ამიტომ, თუ ასეთი ტყეები არ აკმაყოფილებენ მახლობელ მცხოვრებთა აუცილებელ მოთხოვნილებებს, ისინი უნდა გაჩეხილ იქნან და ადგილი დაუთმონ სამიწათმოქმედო კულტურას. ბარში არსებულ ტყეების განადგურების პროცესი ეხლა უკვე სწარმოებს სტიქიურათ; ეს პროცესი კანონიერია. ის ტყეები, რომლებიც გაჩეხილ უნდა იქნას, პირველათ უნდა გადავიდეს საადგილ-მამულო ფონდში; შემდეგ კი მცხოვრებთ გასაწმენდათ და სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის მოსამზადებლათ. ყველა დანარჩენი ტყეები, როგორც კერძო მესაკუთრეთა, ისე სახაზინო, რომლებსაც სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, უნდა მოხდეს მათი ნაციონალიზაცია. ციფრები, რომლებიც აღნიშნავენ მცხოვრებთა რაოდენობას და ხეების მოთხოვნილებას ნათლათ ამტკიცებენ, რომ კერძო მესაკუთრეთა ტყეები უნდა ჩაირიცხოს ამიერ კავკასიის საერთო სატყეო ფონდში.

(დასასრული იქნება).

ამხ. არ. ზურაბოვი ბათუმში

7 თებერვალს პეტროგრადიდან ბათუმს ეწვია ამხ. არშაკ ზურაბოვი. ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლეში შესდგა კონფერენცია სოც.-დემ. პარტიის, ცენტრალურ კომიტეტის და ყველა რაიონულ კოლექტივებისა ამხ. ზურაბოვის რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მოხსენების მოსასმენათ. კონფერენცია გაიხსნა ამხ. გ. ანჯაფარიძის თავმჯდომარეობით. ამხ. ზურაბოვის გამოსვლას ცხარე ტაშის ცემით და ოვაციებით შეეგებნენ დამსწრენი.

კონფერენციის დავალებით ამხ. ზურაბოვმა გააკეთა ორი მოხსენება. ერთი—თანამედროვე მომენტის შესახებ, მეორე კი უკანასკნელ პარტიულ ყრილობის შესახებ. მომხსენებელმა ღრმა ანალიზი გაუკეთა რუსეთის რევოლიუციის მიერ განვლილ გზას, დეტალურათ განიხილა რევოლიუციის ყველა საფეხურები, აღნიშნა კოალიციონურ მთავრობის უსუსურობა და მისი შინაგანი წინააღმდეგობა და სთქვა, რომ კერენსკის მთავრობამ მოუმზადა ნიადაგი ბალშევიკების გაბატონებასო. ჩვენ არ ვიზიარებდით არასოდეს კერენსკის მთავრობის პოლიტიკას, არა ერთხელ აღგვინიშნავს მისი უარყოფითი მხარეები. ჩვენმა პარტიამ დემოკრატიულ თათბირზედაც გადასწყვიტა ერთგვარი სოციალისტური მთავრობის შედგენა... მიუხედავათ იმისა, რომ საერთოდ დემოკრატიულმა თათბირმაც კი მოითხოვა ასეთი მთავრობის შედგენა, კერენსკიმ არ მიაქცია ამას ყურადღება და შეადგინა თავის ნებით ყველა რევოლიუციურ მთავრობებზე უარესი და უსუსური მთავრობა. 25 ოქტომბრის გადატრიალება—ეს არის უმცირესობის მიერ უმრავლესობის იარაღით დამორჩილება. გაბატონდენ რა ბალშევიკები ცენტრში, გაამეფეს ანარქია და სამოქალაქო ომი, ვინაიდან უმრავლესობა არ იზიარებდა მათ ილიუზიებს. მრავალი დეკრეტები გამოსცეს, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ დეკრეტებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა და მათ კიდევ უარესი არევ-დარევა და ანარქია შეჰქონდა ცხოვრებაში. აიღეთ თუნდ სულ უბრალო მაგალითი, პეტროგრადის ქუჩების თოვლიდან გასაწმენდათ რამდენიმე დეკრეტი გამოსცეს, მაგრამ ამსრულებელი არავინ აღმოჩენილა. წარმოების ყველა დარგში სრული ანარქია გამეფდა. მუშებში ანარქისტულმა მიმდინარეობამ ძლიერ იჩინა თავი. ისინი მოითხოვენ სრულ გათანასწორებას ყოველ დარგში. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ექვსი ანარქისტი გავიდა. ბალშევიკები ძლიერ დააფიქრა ანარქისტების გაძლიერებამ... მაგრამ ვერაფერს ხდებიან...

ბალშევიკებს ბანკების ნაციონალიზაციაც თავისებურათ ესმით. დააყენებენ ბანკის კარებთან წითელ გვარდიელებს, ფულს გაიტაცებენ და ამრიგათ არ ეკითხებიან მოსამსახურეთა დემოკრატიულ ორგანიზაციებს. სულელი იყო ნიკოლოზ რომანოვი, რომ ყოველივე ბოროტებას ნაციონალიზაციის სახელს არ არქმევდა. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღეს ლენინის და ტროცკის მთავრობა კი არ არის, არამედ თვითონ ისინი მოექცენ ტყვეთ იმ შტიკებს, რომლებითაც გაბატონდენ... დღეს ლენინს და ტროცკის შტიკები კამანდრობენ. მატროსები თვით ამბობენ: ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს მთავრობა, ოღონდ ჩვენი სურვილები კი შეასრულოსო. მიწის შესახებ დეკრეტსაც ისეთი ბედი ეწვია, როგორიც სხვებს, მიუხედავათ იმისა, რომ ლენინმა აგრარული პროგრამა პირწმინდათ ესერების პოოგრამიდან გადმოიწერა, იმ პროგრამიდან, რომელსაც ლენინი ბურჟუაზიულ-რეაქციონ. უწოდებდა და მთელი თავის არსებით ებრძოდა. მაგრამ ეს დასჭირდა ლენინს იმიტომ, რომ გლეხები თავისკენ გადიებირებია...

კიდევ უარეს დამღუპველ საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ ბალშევიკები. რასაკვირველია, დღემდის აქტიური საზავო პოლიტიკა არ წარმოებულა. ამაშია მათი მოქმედების დადებითი მხარე, მაგრამ ამით თავდება ყველაფერი: მათ აქტიურ საზავო პოლიტიკის წარმოებას შეუდგენ, მაგრამ მთელი რუსეთი მიიყვანეს დაღუპვის კარამდე. ამის საპასუხოთ ტროცკი ამბობს: თუ დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია არ დაიწყო, ჩვენ მაინც დაღუპული ვართო. რატომ? რისთვის? იმიტომ, რომ ტროცკიმ საზღვარ-გარეთ ერთ წიგნში დასწერა: რუსეთის რევოლიუცია დასავლეთ ევროპის სოციალისტური რევოლიუციის გამოძახილი იქნებაო. და ერთხელ წიგნში დაწერილი სურს ტროცკის რუსეთის სხეულზე გაამართლოს და ამით არა თუ რევოლიუციის, არამედ თვით რუსეთის ბედი გადასწყვიტოს. ასეთი ხალხი რასაკვირველია არ დაინდობდა არც დამფუძნებელ კრებას. მატროსი ჟელეზნიაკოვი დამფუძნებელ კრების დარბაზში ბომბით შემოვიდა და უსირცხვილოთ განაცხადა: ჩვენ აქ ძილი გვსურს, დაგვიცალეთ დარბაზიო. იმისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. მატროსები, რომლებმაც შინგარიოვზე და კოკოშკინზე თვითგასამართლება მოახდინეს, თავისუფლათ დასეირნობენ. საერთოთ რუსეთის დღევანდელი სინამდვილე არაფერს კარგს არ გვეუბნება. შესაძლებელია გარეშე ძალის შემოჭრამ დაამყაროს „წესიერება“ რუსეთში. შესაძლებელია აგრეთვე მუშათა კლასმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბოს, მაგრამ ესეც საეჭვოა და ამნაირათ დამფუძნებელ კრების ბედი უკვე გადაწყვეტილია.

მეორე მოხსენება ამხ. ზურაბოვმა გააკეთა უკანასკნელ პარტიულ ყრილობის შესახებ. უკანასკნელი პარტიული ყრილობა, ამბობს მომხსენებელი, ყველა ყრილობებზე უფრო სუსტი და უფერული იყო. უფერული იმიტომ კი არა, რომ ჩვენმა პარტიამ ამ ხანებში დამარცხება განიცადა, არამედ იმიტომ, რომ საერთო ატმოსფერა ბალშევიკების მიერ გამოწვეული სამოქალაქო ომი და ანარქია სულის შემხუთველი შეიქნა. ჩვენ ყველა ვგრძნობდით, რომ მუშათა კლასს განსაცდელი მოელოდა, რომ მას დიდი ლოდი აწვებოდა თავზე. ბალშევიკების მიერ დაწყებული ძმათა შორის სისხლის ღვრა არ გვაძლევდა გარანტიას, რომ ჩვენი საუკეთესო ამხანაგებიც გადაურჩებოდენ საფრთხეს. ყრილობამ, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, მაინც სათანადოთ გაარჩია დღის წესრიგში დასმული კითხვები და შესაფერი რეზოლიუციები გამოიტანა. რეზოლიუციები უმთავრესათ ინტერ-ნაციონალისტების გადიოდა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შესვლის შესახებ საკითხი ყრილობამ დადებითათ გადასწყვიტა. საერთოთ შეცდომა იყო ჩვენი ამხანაგების აღმასრულებელ კომიტეტიდან გამოსვლა, ვინაიდან ჩვენ ვალდებული ვართ იქაც ვაწარმოვოთ ჩვენი პოლიტიკა და ამით მუშები გამოვაფხიზლოთ. ობორონცული ფრთა პოტრესოვის მეთაურობით კომიტეტში შესვლაზე უარს აცხადებდა იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით მათი მოქმედებისათვის პასუხისმგებელიო. ჩვენ მაინც პასუხისმგებელი ვართ იმდენათ, რამდენათ ჩვენ მუშათა პარტია ვართ. ობორონცული ფრთა არ დაეთანხმა ჩვენს გადაწყვეტილებას და დაიწყო ცალკე ორგანიზაციების დაარსება, მაგრამ უნაყოფოთ. საერთოთ 25 ოქტომბრიდან მუშათა კლასი ფხიზლდება და ჩვენს ორგანიზაციებს უბრუნდება მრავალი მუშები, მაგრამ უმრავლესობა ჯერ კიდევ აპოლიტიციზმით არის შეპყრობილი. მოხსენების გათავების შემდეგ ამ. ზურაბოვი ტაშისცემით და ოვაციებით გააცილეს დარბაზიდან.

ვ. ღვაბზუელი.

მუშ., ჯ. და გლ. დეპ. საბ. ცენტრის სხდომა

9 თებერვალს ამხ. ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა. ეშელონების მოძრაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს დელეგაციის წევრი ამხ. **ხტრელკოვსკი**. მე,—ამბობს იგი, გოგუაძე და დგებუაძე ცენტრის დადგენილებით უნდა შევხვედროდით სარიყამიშიდან მომავალ ეშელონებს სად. საგანლუღში, რომ გაგვემართა მათთან მოლაპარაკება თფილისისთვის მშვიდობიანათ აევლოთ გვერდი. გავრცელებული ხმა, რომ ისინი თფილისის წინააღმდეგ აპირებდენ გამოლაშქრებას, არც ისე მართალი გამოდგა. იმათ სიტყვა მოგვცეს, რომ თფილისში არ შემოვიდოდენ. ასეც მოხდა. მესამასე ვერსზე მათ მიტინგი გამართეს და დაადგინეს, ყველა ეშელონებმა ერთათ იმგზავრონ, რომ სახლში მშვიდობით მივიდენ. ამავე მიზნით მათ მოგვთხოვეს ჯავშნიანი მატარებელი და დელეგაცია, რაც შესრულებულ იქნა და კიდეც გავემგზავრეთ მესამასე ვერსიდან. მეორე დღეს მივედით აღტაღლიაში, სადაც მოკლულ იქნა ორი ჯარისკაცი. საჭიროა აღვნიშნო, რომ მიმავალ ეშელონებმა დაადგინეს თავის მხრივ არავის საბაბი არ მისცენ სისხლის ღვრისა. ჩვენ გვაფრთხილებდენ,—გზაში ბევრი ხიფათი მოგელისო. მაგრამ არ მივაქციეთ ამას ყურადღება და განვაგრძეთ გზა. ტაუზში ღამე გავათიეთ. იქიდან მივაღწიეთ მშვიდობით ძეგამამდე, სადაც სროლა ასტყდა, რომელიც საბედნიეროთ მალე შევაჩერეთ. მივედით განჯაში. აქაც ასტყდა სროლა. მოჰკლეს ორი და დასჭრეს რამდენიმე ჯარისკაცი. ჩვენ გავმართეთ მოლაპარაკება მუსულმანთა კომიტეტთან. სროლა გრძელდებოდა, ჩვენც სროლითვე ვუპასუხეთ. ძალა-უნებურათ ავამუშავეთ ტყვიისმფრქვეველები და თოფები. განჯის შემდეგაც აგვიტეხეს რამდენჯერმე სროლა, მაგრამ ჯარი თავს იკავებდა. რკინის გზაზე ბოჰკები დაეწყოთ, უნდოდათ მატარებლის დამსხვრევა, მაგრამ ეს ჩვენ ადრე შევნიშნეთ. რაღაც მიზეზით მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა. თუმცა ჯარისკაცებმა მალე ჩააქვრეს იგი, მაგრამ რამდენიმე ვაგონი მაინც დაიწვა. მივაღწიეთ სად. ბარგუშეთამდე. დავუცადეთ მომავალ ეშელონებს. აქაც შეიქნა სროლა, მაგრამ ჩვენ თავი შევიკავეთ. საქონლის მატარებლის მემანქანე დაგვიჭრეს, რამაც გამოიწვია მატარებლის შეჩერება. გზაში შევამჩნიეთ „ბუდკები“, რომლებიდანაც ჩვენ გვესროდენ. ჩვენც სროლით ვუპასუხეთ და გავფანტეთ ისინი. მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 15-მდე კაცი. ჯავშნიანი მატარებლის კომანდამ ამხ. გოგუაძის მეთაურობით მშვენივრათ აასრულა თავის მოვალეობა.

კრებამ დელეგაციას მადლობა გამოუცხადა ენერგიული მუშაობისათვის.

საქარელი მ.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 30 იანვარს შესდგა პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო კითხვები: ამხ. როდიჩევის განცხადება, გაზეთი „ერთობა“, ქალთა ორგანიზაციის დაარსება & პარტიულ გამომძიებელთა კომისიის არჩევა. ამხანაგ როდიჩევმა სთხოვა კრებას, განთავისუფლება კოლექტივის წევრობისაგან. კრებამ მიიღო როდიჩევის განცხადება და მის მაგიერ აირჩია კოლექტივის წევრათ ამხანაგი ცირკვაძე.

გაზეთ „ერთობის“ შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა 1 თებერვლიდან შეწყდეს ნისიათ გაზეთის გამოწერა.

ქალთა ორგანიზაციის დაარსების საკითხის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი: დროა, როგორც თავისუფალი მოქალაქენი, ქალთა საზოგადოებამაც დაარსოს თავის ორგანიზაცია, გაეცნონ თანამედროვე ცხოვრების პირობებს, მიიღონ მამაკაცებთან ერთად საერთო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა და მით შემოკრბენ რ. ს. დ. მ. პ. დროშის ქვეშ. ასეთი ორგანიზაციის მოსაწყობათ კრებამ აირჩია კომისია 5 კაცისაგან შემდგარი: კუტალაძე, დოლიძე, აზმეიპარაშვილი, კამაროვი და კაპანაძე.

პარტიულ საგამომძიებლო კომისიის არჩევა კრებამ უკამათოდ მიიღო და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ვინაიდან საჭიროება თხოულობს ამა თუ იმ პარტიულ კითხვების გამოძიებას, იქმნას არჩეული მუდმივი პარტიულ გამომძიებელთა კომისია. 3 კაცისაგან შემდგარი: რაკვიაშვილი, მანდჯგალაძე და ჟურული.

მდივანი ა. კვაჭაძე.

ალექსანდროპოლის რკინის გზის დეპო და სადგური. 28 იანვარს შესდგა ალექსანდროპოლის ს.-დემ. პარტიის წევრთა კრება, კრება გახსნა ამხანაგ ასირბეგოვმა, რომელმაც ვრცელი მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე, ის შეეხო პარტიის მდგომარეობას, მწუხარება გამოსთქვა ადგილობრივი პარტიული მუშაობის შეფერხების შესახებ და მოუწოდა ამხანაგებს საქმიანობისკენ. ამხ. ოქ. წულაიამ წინადადება შემოიტანა: მოხდეს პარტიის ხელმძღვანელთა სრული რეორგანიზაცია, კრებამ აირჩიოს ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოახდენს პარტიულ კრებებს, გაუთვალისწინებს პარტიის წევრებს პარტიის მდგომარეობას და ამ სახით ძირიდგან მოახდენს არჩევნებს კონფერენციაზე გასაგზავნ წევრებისას, რომელსაც შეეძლება მოახდინოს სწორი და სასარგებლო რეორგანიზაცია და სხვა, მაგრამ ასეთი წინადადება უარყოფილი იქნა 18 ხმ. უმეტესობით 12-ს წინააღმდეგ და გავიდა შემდეგი: რადგან კომიტეტის შემადგენლობის რიცხვი უნდა იყოს 15 კ. და ის კი შესდგება 12 კაცისაგან, იქნეს შევსებული სამი კაცის ახლად არჩევით და ასეთ შევსებულ კომიტეტს დაევალოს პარტიის მუშაობის გამოცოცხლება და სასურველ ნიადაგზე დაყენება და სხვა, რაც იქნა ხმის უმეტესობით მიღებული. როგორც გამომძიებელ კომისიის მოხსენებიდგან გამოირკვა კომიტ. წევრნი: მემანქანე ნალბანდიანცი, მემანქ. თანაშემწე იანსოვი და ტელეგრაფისტი შაგინოვი იქნენ ცნობილნი დამნაშავედ სხვადასხვა გვარ ბოროტმოქმედებაში, რითაც ჩირქი მოსცხეს პარტიას, კრებამ დაადგინა მათი სრულიად პარტიიდან გაძევება.

ეკალი.

პროვინცია

ს. ნიკორწმინდა (რაჭა). ორი წელიწადია, რაც ახალგაზდათა ერთი ჯგუფის მაცადინობით და მასწავლებელ დ. კუბლაშვილის მეთაურობით აქ გაიხსნა წიგნთსაცავ-სამკითხველო. არჩეული იყო გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომლებსაც მინდობილი ჰქონდა სამკითხველოს მოვლა-პატრონობა. მაგრამ, სამწუხაროთ, მათ ვერ გაამართლეს დემოკრატიის იმედები, ვერ შესძლეს ხალხის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ მოხდა სამკითხველოს წევრთა კრება. მღვ. თ. კანდელაკმა გააკეთა მოკლე მოხსენება გამგეობის მოქმედობის შესახებ. გამოირკვა, რომ გამგეობა ცუდათ და სუსტათ მოქმედობდა, მეტადრე უკანასკნელ ხანებში არა უკეთებია რა. მათ არც ერთხელ არ მოუწვევიათ წევრთა კრება, წევრებათ ყოფილა ჩაწერილი მარტო 25 კაცი, გაზეთები თავის დროზე არ მოდიოდა და თითქმის სანახევროთ იკარგებოდა, სამკითხველოც უმეტეს შემთხვევაში დაკეტილი ყოფილა. ამასთანავე სამკითხველოში საჭირო წესრიგს ნაკლებათ ჰქონია ადგილი. შემოწირულება ყოფილა სხვა და სხვა სახით, სულ 25 თუმანი და სხვა. კრებამ იქონია მსჯელობა გამგეობის მოქმედების შესახებ და ერთხმათ უნდობლობა გამოუცხადა მას უმოქმედობისათვის და გადააყენა ისინი თანამდებობიდან. მოხდა ხელ-ახალი არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

იმედია ახლათ არჩეული პირები გაამართლებენ ხალხის ნდობა იმედებს. დღეს უკვე ნახევარი წლით გვაქვს გამოწერილი თფილისის ოთხი გაზეთი „ერთობა“, „ბრძოლა“, „საქართველო“ და „სახალხო საქმე“. წევრებათ უკვე ჩაწერილია ასი კაცი. თუმცა ადგილობრივი მოწინავე ძალები ცდილობენ სამკითხველოს სასურველ ნიადაგზე დაყენებას და მის აღორძინებას, მაგრამ ადგილობრივი შემოსავალი დღემდისაც საკმარისი არ იყო, მით უმეტეს დღეს არ კმარა იგი, რადგანაც ყველა ჟურნალ-გაზეთები მეტათ გაძვირდა. ამიტომ მოგმართავთ ყველას, კულტურულ საქმის გულშემატკივართ, მუშებს, მოქალაქეთ, ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს და აღმოგვიჩინეთ დახმარება, რითაც შესაძლებელი იქნება (ჟურნალ-გაზეთების გამოწერით, წიგნებით, ფულით და სხვა). ყველა შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული და გამოცხადებული გაზეთის საშვალებით.

სამკითხველოს გამგეობის წევრები: 1) **ალექსანდრე თ. კობახიძე. 2) სამსონ შავლაძე, 3) ვარლამ დოხნაძე.**

სად. ნახიჩევანი (ერევ. გუბერ.). უკიდურეს მდგომარეობაში ვართ, ორი მოპირდაპირე ერი ერთი მეორეს წინააღმდეგ ირაზმება. დიდი ხნის აღძრული შუღლი დღეს ერთი მეორეს უპირდაპირდება. საკმაოა ერთი პროვოკაციული გასროლა, რომ ძმათა ომი გაჩაღდეს და სისხლი დაიღვაროს. სომეხ მუსულმანთა რეაქციონერები ამოძრავდენ და ერთი ერის მეორეზე მისევით სურთ რევოლიუცია დაასამარონ. მთელი რკინის გზა სად. ალაგიოზიდან სად. ჯულფამდე უპატრონოთაა დატოვებული. რკინის გზის მოსამსახურები გარბიან თავზარდაცემული. მატარებელს თავს ესხმიან და მგზავრებს სძარცვავენ და ჰკლავენ. სადგ. ულუხანლოდან სადგ. ჯულფამდე მხოლოდ სამი სადგურია გახსნილი, დანარჩენი დაკეტილია, მატარებლები მხოლოდ დღით დადიან და ისიც იშვიათად. რკინის გზის მუშები თხოულობენ შველას. თხოულობენ, მაგრამ რაიონის კომიტეტებს ეს ძალა არ შესწევს, იმიტომ რომ ცენტრმა თავის დროზე სისრულეში ვერ მოიყვანა თავისი განძრახვა. რკინის გზის წარმომადგენლებს მუსულმანებს და სომხის წარმომადგენლებთან თითქმის ყოველ დღე აქვთ თათბირი. როგორმე მორიგება ჩამოაგდონ. მუსულმანები თანახმანი არიან. სომხებთან ჯერ ვერაფერი გავაწყვეთ. მუსულმანებმა გამოიყვანეს რაზმი რკინის გზის დასაცავათ. მატარებლებით მიმავალი სომხების ჯარი გზაში პროვოკაციას ახდენს. გზა და გზა მუსულმანების სოფლებს და მშვიდობიან მცხოვრებს თოფებს ესვრიან. ქურთები მატარებლებს და სადგურებს ეცემიან და ძარცვავენ. დღემდის ჩვენმა მოქმედებამ თითქმის ნაყოფი გამოიღო, აწი არ ვიცით. საჭიროა სომხის რაზმის წინამძღოლებმა მოსპონ პროვოკაცია მუსულმანების წინააღმდეგ. მუსულმანების წარმომადგენლები ჩვენთან ერთად მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ყოველივე პროვოკაციის მოსასპობათ და იცავენ რკინის გზის ლიანდაგს. მოსამსახურეებს ორი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ. სურსათი სულ არ მოგვეპოვება. ქალაქზე თითქმის სრულიად მოწყვეტილი ვართ. სურსათს არ გვიგზავნიან. ხალხი აღელვებულია. საჭიროა ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ჯულფის ლიანდაგს. მოგვაწოდოს სურსათი მაინც.

ყვირ. ზევი.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი ვ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ვ. გ. ვეშხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ბ. დონხინი
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი პ. ი. მგარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეზრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და პლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტრაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

იყიდება თფილისში
აბრეშუმის ჭიის თესლი
საუკეთესო თვისებისა, ყვითელი ჯიშისა.
ფირმა „დ. დ. დეკანოზიშვილისა“,
შემოწმებული კავკასიის სააბრეშუმო სადგურში.
მისამართი: დუშეთის ქ. № 21, ბინა მექანარიშვილისა. 3—1

თფ. სამხედრო საკრებულოს განცხადება

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულია ორი დეკრეტი: 1) 1899 წ-ში დაბადებულ ახალგაზდების სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ და 2) დაუყოვნებლივ დაბრუნება თავთავიანთ ნაციონალურ სამხედრო ნაწილებში ამიერ-კავკასიის ყველა სამხედრო—მოვალე იმ ახალგაზდებისა, რომელთაც წლოვანობით 25 წლამდე მიუღწევიათ (ე. ი. ვინც 1892 წლის 1 იანვრიდან—1898 წლის 31 დეკემბრამდე დაბადებულა). ამ დეკრეტების სისრულეში მოსაყვანად ზემოხსენებულ კატეგორიების თფილისში მცხოვრები ახალგაზდები მოვალენი არიან პასუხისმგებლობის შიშის ქვეშ გამოცხადდენ თფილისის სამხედრო საკრებულოს თავშესაკრებ ადგილზე (Сборный пунктъ)

სასტუმრო „კავკაზი“, ერევნის მოედანზე, შესავალი წინა კარებ., მე-2 სართულზე.

ახალგაზდებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი ან სხვა რაიმე პირადობის შესამოწმებელი მოწმობა. იმათ კი, ვინც სარგებლობს პირველი რიგის შეღავათით ოჯახური მდგომარეობის გამო, უნდა ჰქონდეს თან მოწმობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, მიცემული თფილისის ქალაქის მილიციის უფროსისაგან ანდა უბნის კომისარისაგან.

გაწვეულები უნდა გამოცხადდენ შემდეგ რიცხვებში:

1-ლ და მე-2	სამილიციო	უბანში	მცხოვრებნი	ხუთშაბათს	15	თებერ.	დილ.	8 საათ.
მე-3, 4, და 5	„	„	„	პარასკევს	16	თებერ.	„	„
მე-6 და მე-7	„	„	„	შაბათს	17	„	„	„
მე-8 და მე-9	„	„	„	კვირას	18	„	„	„
მე-10 და მე-11	„	„	„	ორშაბათს	19	„	„	„
მე-12	„	„	„	სამშაბათს	20	„	„	„

მუსულმანებზე და დუხაბორებზე ეს კანონი არ ვრცელდება. გაწვევა მოხდება მობილიზაციური წეს-რიგით. ვინც პირველი რიგის შეღავათით სარგებლობს, მათ ამის დამამტკიცებელი მოწმობა უნდა წარადგინონ სამხედრო საკრებულოში არა უგვიანეს მათი გაწვევის დღისა. 3—2

„ბინის დამქირავებელთა კავშირი“

ამით აცხადებს თავის წევრების საყურადღებოთ, რომ **კონსულტაცია** ანუ—ყოველივე ახსნა-განმარტება და დარიგება ბინის საკითხის შესახებ მიეცემა წევრებს სრულიად **უსასყიდლოთ**—სამშაბათობით და ხუთშაბათობით მე-2 მომრიგებელ განყოფილების შენობაში და კვირაობით დიდუბეში, რკინის-გზის სასწავლებლის შენობაში, საღამოს 4—6 საათამდე. აქვე იწერება თხოვნები და მიიღებიან წევრები.

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, ოპერაცია შეთანხმებით.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.